



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

სეზსტადი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური და
სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების,
შენახვისა და გავრცელების სისტემა

სახელმძღვანელო

მე-2 გადამუშავებული გამოცემა



სიზუსტადი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური და
სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების,
შენახვისა და გავრცელების სისტემა

სახელმძღვანელო

მე-2 გადამუშავებული გამოცემა



თბილისი 2017

ნანა ასლამაზიშვილი

სებსტატი: საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური და სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების სისტემა/სახელმძღვანელო. მე-2 გადამუშავებული გამოცემა. 2017.

სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის წარმართვის პროცესში გამოსაყენებლად და რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ კომერციული ბანკებისათვის, მათ მიერ ეროვნულ ბანკში წარსადგენი ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებისას.

სახელმძღვანელოს ძირითადი კონცეფციები და მიდგომები სრულ შესაბამისობაშია მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის სფეროში მსოფლიოში დღეისათვის მოქმედ საერთაშორისო სტატისტიკურ სტანდარტებთან. მასში წარმოდგენილი მიდგომები და დებულებები არაერთხელ იყო განხილული სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებზე (საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტიტუტის, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის სტატისტიკის განყოფილების მიერ ორგანიზებულ სემინარებსა და კონფერენციებზე); სებსტატის დანერგვის მიმდინარეობისას ისინი აქტიურად განიხილებოდა საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების წარმომადგენლებთან, აგრეთვე რამდენიმე ადგილობრივი ბანკის უცხოური პარტნიორი ბანკების ექსპერტებთან, რომლებიც ინტენსიურად იყვნენ ჩართული სებსტატის დანერგვის პროცესში.

სახელმძღვანელოს წინამდებარე მეორე გადამუშავებული გამოცემა მომზადებულია იმ დამატებების გათვალისწინებით, რომელთა საჭიროებაც გაჩნდა სებსტატის გაფართოების ამოცანებიდან გამომდინარე, აგრეთვე სებსტატის დანერგვის პროცესში წამოჭრილი საკითხების უფრო უკეთესად და თვალსაჩინოდ გაშუქების მიზნით.

ავტორი მადლობას უხდის საქართველოს ეროვნული ბანკის სებსტატის დანერგვის პროექტის სამუშაო ჯგუფის წევრებს და კომერციული ბანკების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც აქტიურად იყვნენ და არიან ჩართულნი სებსტატის დანერგვის პროცესში და დიდი წვლილი შეაქვთ ამ პროექტის წარმატებით განხორციელებასა და განვითარებაში.


შეკითხვების, მოსაზრებებისა და წინადადებებისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 2406 251,

ან მოგვმართოთ ელექტრონული ფოსტით: naslamazishvili@nbg.gov.ge

წინამდებარე სახელმძღვანელო და სებსტატთან დაკავშირებული სხვა მასალები ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=634>

შესავალი	5
1. რისთვის არის საჭირო მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების არსებული სისტემის შეცვლა?	6
2. რაში მდგომარეობს სეპსტატის კონცეფცია?	7
სეპსტატი, როგორც სისტემა	7
3. რა უპირატესობები გააჩნია სეპსტატს?	8
სეპსტატი, როგორც მონაცემთა მოდელი	8
4. სეპსტატის წარმოების პრინციპები და ზოგადი არქიტექტურა	9
სეპსტატის წარმოების პრინციპები	9
სეპსტატის ზოგადი არქიტექტურა	9
5. მონაცემთა სტრუქტურის აღწერა	11
5.1. მონაცემთა სტრუქტურის აღწერის ზოგადი სქემა	11
5.2. ყოველთვიური ფინანსური და სტატისტიკური მაჩვენებლების სტრუქტურის აღწერა	11
5.3. ყოველდღიური ფინანსური და სტატისტიკური მაჩვენებლების სტრუქტურის აღწერა	13
5.4. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების სტატისტიკური მაჩვენებლების სტრუქტურის აღწერა	14
5.5. ფულადი გზავნილების სტატისტიკური მაჩვენებლების სტრუქტურის აღწერა	16
5.6. ამოღებულია (შეიცვალა PCS მონაცემთა ოჯახით; იხ.: სეპსტატის სახელმძღვანელოს დამატება 1).	17
5.7. კლასიფიკატორები (კოდე ლისტები)	17
6. ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია	45
6.1. ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტები	45
6.2. მონეტარული ოქრო და სესხის სპეციალური უფლებები (SDRs)	45
6.3. ნაღდი ფული და დეპოზიტები	45
6.4. ფასიანი ქაღალდები, აქციების გარდა	47
6.5. სესხები	47
6.6. აქციები და სხვა საკუთარი კაპიტალი	48
6.7. დაზღვევა, საპენსიო და სტანდარტიზებული საგარანტიო სქემები	48
6.8. ფინანსური წარმოებულები და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე	48
6.9. სხვა დებიტორები/კრედიტორები	49
6.10. არაფინანსური აქტივები	49
7. ოპერაციები, ნაშთები, ნაკადები და სხვა ცვლილებები: არსი და შეფასება	50
7.1. საბალანსო იგივეობა	50
7.2. ოპერაციებისა და ღირებულების ცვლილებების გაანგარიშება	51
7.3. ინსტრუმენტების აღრიცხვის ერთეული	58
დანართები	60
დანართი 1: გაცემული სესხების მაიდენტიფიცირებელი გასაღებების კონტროლის სქემა	60
დანართი 2: სეპსტატში გამოყენებული კლასიფიკატორები	61
1. CL_FAMILY - გასაღებების ოჯახი	61
2. CL_SOURCE - ფინანსური ინსტიტუტები	61
3. CL_FREQ - პერიოდის ტიპი	62
4. CL_INS - ინსტრუმენტი (ფინანსური/არაფინანსური)	62
5. CL_STA - ინსტრუმენტის სტატუსი (აქტივი/პასივი)	68
6. CL_STFL - ნაშთი/ნაკადი	69
7. CL_MAT - ინსტრუმენტის ვადიანობა	69
8. CL_Cur - ვალუტა	69
9. CL_RES - რეზიდენტობა	74
10. CL_SEC - ინსტიტუციური სექტორი	82
11. CL_NAC - ეკონომიკური საქმიანობის სახე	84
12. CL_REG - რეგიონი	85
13. CL_LOP - სესხებზე დამატებითი ინფორმაციის კლასიფიკატორი და მისი გამოყენების წესი	87

14. CL_LOC - სესხების უზრუნველყოფის კლასიფიკატორი და მისი გამოყენების წესი	125
15. CL_RNG - ინსტრუმენტის (სესხი/დეპოზიტი) რანჟირება	126
16. CL_MTYPE - შეფასების ტიპი	126
17. CL_TTYPE - ოპერაციის ტიპი	126
18. CL_CONTR - კონტრაგენტი	127
19. CL_SYS - ელექტრონული გზავნილების სისტემები	127
20. CL_INOUT - ოპერაციის ტიპი	129
თერმინთა საძიებელი	130
სქემები:	
სქემა 4.1. სესხატის სტრუქტურა	10
სქემა 4.2. სესხატის სტრუქტურის გაფართოება	10
სქემა 5.1. სესხატის მონაცემთა სტრუქტურის აღწერის ზოგადი სქემა	11
სქემა 5.2. FIM მონაცემთა ოჯახის სტრუქტურის აღწერის სქემა	11
სქემა 5.3. ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიცირება სახელმწიფო და კერძო სექტორებად	24
სქემა 5.4. მენარმე სუბიექტების კლასიფიკაცია	30
ჩანართები:	
ჩანართი 5.1. როგორ მოვახდინოთ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების კლასიფიცირება?	18
ჩანართი 5.2. რეზიდენტობის განსაზღვრის კერძო შემთხვევები	23
ჩანართი 5.3. უძრავი ქონების გირაოს ქვეშ გაცემული სამომხმარებლო სესხის იდენტიფიცირება	34
ჩანართი 7.1. სესხის გადაკლასიფიცირება	56
ცხრილები:	
ცხრილი 5.1. FIM ოჯახი: მონაცემთა სტრუქტურის აღწერის სქემა	12
ცხრილი 5.2. FIM ოჯახი: მოთხოვნები ატრიბუტებისადმი	13
ცხრილი 5.3. FID ოჯახი: მონაცემთა სტრუქტურის აღწერის სქემა	14
ცხრილი 5.4. FID ოჯახი: მოთხოვნები ატრიბუტებისადმი	14
ცხრილი 5.5. FEX ოჯახი: მონაცემთა სტრუქტურის აღწერის სქემა	15
ცხრილი 5.6. FEX ოჯახი: მოთხოვნები ატრიბუტებისადმი	16
ცხრილი 5.7. MTR ოჯახი: მონაცემთა სტრუქტურის აღწერის სქემა	16
ცხრილი 5.8. MTR ოჯახი: მოთხოვნები ატრიბუტებისადმი	17
ცხრილი 5.9. ფინანსური სექტორის ქვესექტორები	18
ცხრილი 5.10. ვადიანობის კლასიფიკატორი	21
ცხრილი 5.11. ეკონომიკის სექტორები და მათი ძირითადი ფუნქციები	24
ცხრილი 5.12. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები	25
ცხრილი 5.13. რეზიდენტობის იდენტიფიცირება ინსტრუმენტების მიხედვით	32
ცხრილი 5.14. საწარმოთა სიდიდის მიხედვით კლასიფიკაციის კრიტერიუმები	35
ცხრილი 5.15. გაცემული სესხის შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესი შერეული უზრუნველყოფის შემთხვევაში	41
ცხრილი 5.16. უზრუნველყოფილი სესხის არაუზრუნველყოფილი ნაწილის იდენტიფიცირება	42
ცხრილი 5.17. გაცემული სესხის შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესი შერეული და ამავე დროს არასრულად უზრუნველყოფის შემთხვევაში	42
ცხრილი 7.1. ოპერაციისა და ღირებულების ცვლილებების გაანგარიშება, როცა აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებებს ადგილი არ აქვს: შემთხვევა 1.	52
ცხრილი 7.2. ოპერაციისა და ღირებულების ცვლილებების გაანგარიშება, როცა აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებებს ადგილი არ აქვს: შემთხვევა 2	52
ცხრილი 7.3. ოპერაციისა და ღირებულების ცვლილებების გაანგარიშება, როცა სახეზეა აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებებიც: შემთხვევა 1	54
ცხრილი 7.4. ოპერაციისა და ღირებულების ცვლილებების გაანგარიშება, როცა სახეზეა აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებებიც: შემთხვევა 2	54
ცხრილი 7.5. აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებებში ასასახი პოზიციები, რომლებიც საქართველოს საბანკო დანესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის მიხედვით ასახულია სხვა ანგარიშებში	55
ცხრილი 7.6. ღირებულების ცვლილების ასახვა აქტივების/ვალდებულებების კატეგორიების მიხედვით	57
ცხრილი 7.7. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების მეთოდები	58
ცხრილი 7.8. შეფასების კლასიფიკატორის გამოყენების პირობები	59



შესავალი

სებსტატის, როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური და სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების ინფორმაციული სისტემის დანიშნულებაა ქვეყნის ფინანსური ინსტიტუტებიდან ფინანსური და სტატისტიკური მაჩვენებლების მიღების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების პროცესების ავტომატიზაცია.

სისტემის დანერგვის მიზანია:

- ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის მიღების უნივერსალური, მოქნილი და თანამედროვე მექანიზმის შექმნა;
- მიღებული ინფორმაციის შენახვა/დამუშავება/გამოქვეყნების პროცედურების ავტომატიზაცია;
- ცენტრალიზებულ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;
- საბოლოო სტატისტიკური პროდუქტების წარმოების პროცესების ავტომატიზაცია;
- მენეჯერული და ანალიტიკური ინფორმაციის წვდომადობა და გამჭვირვალობა;
- საინფორმაციო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
- ინფორმაციის საიმედოობისა და უსაფრთხოების ამაღლება.

წინამდებარე დოკუმენტის დანიშნულებაა სებსტატის კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური და ტექნოლოგიური სტრუქტურის აღწერა.



რისთვის არის საჭირო მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების არსებული სისტემის შეცვლა?

- 1.1. საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგულარული სტატისტიკური საქმიანობა სათავეს იღებს 2001 წლიდან, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2001 წლის 27 ივლისის N183 ბრძანებით „საქართველოს კომერციული ბანკებისათვის საბანკო სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების თაობაზე“.
- 1.2. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2008 წლის 17 ივლისის N184 ბრძანებით „საქართველოს კომერციული ბანკებისათვის საბანკო სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებისა და მათი შევსების ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ გაფართოვდა კომერციული ბანკების სტატისტიკური ანგარიშგების მოცულობა, რამაც უფრო მეტად შეუწყო ხელი მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ორგანიზებას.


შესაბამისად:

- ⊗ დაინერგა საბანკო სტატისტიკური ანგარიშგების სისტემა;
- ⊗ შემუშავდა მონაცემთა მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების პროცედურები;
- ⊗ შემუშავდა დროითი მწკრივები და მათი განახლების მექანიზმები;
- ⊗ შემუშავდა მეთოდური ნაწილები და დაინერგა სტატისტიკის მომხმარებლებთან კომუნიკაციის მექანიზმები;
- ⊗ გაფართოვდა საერთაშორისო სტატისტიკურ გამოცემებში საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემთა გამოქვეყნების მასშტაბები.

თუმცა, გემოაღნიშნული მიღწევების ფონზე სერიოზულ ნაკლად რჩებოდა სტატისტიკის წარმოების ტექნოლოგიური მხარდაჭერის უქონლობა. კერძოდ:

- ⊗ სტატისტიკურ მონაცემთა მოპოვება ხდებოდა ექსელის ცხრილების ფორმით, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
- ⊗ მონაცემები მოიპოვებოდა დეცენტრალიზებულად, რაც ზრდიდა მათი მოპოვებისა და დამუშავების ტვირთს;
- ⊗ მიღებული მონაცემების დამუშავება ხდებოდა ექსელის ბაზაზე;
- ⊗ არ არსებობდა მონაცემთა ერთიანი ბაზა;
- ⊗ მონაცემთა დროითი მწკრივების წარმოება მიმდინარეობდა რუტინული ხელით შრომის ბაზაზე.

ამდენად, მიუხედავად სტატისტიკისადმი გაზრდილი მოთხოვნებისა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით, ეროვნულ ბანკში სტატისტიკის წარმოების პროცესი არაეფექტიან და მოძველებულ ხერხებსა და მეთოდებს ეფუძნებოდა, რის გამოც გადაუდებელ ამოცანად დაისახა ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების არსებული სისტემის შეცვლა თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემით, რომელსაც ეწოდა „სესტატი“ (სებ-ის სტატისტიკა).



რაში მდგომარეობს საბსტატის კონცეფცია?

საბსტატი, როგორც სისტემა

- 2.1. საბსტატის კონცეფცია ეფუძნება სტატისტიკურ მონაცემთა სტრუქტურის აღწერას კლასიფიკატორების (კოდების სიების) გამოყენებით.
- 2.2. საბსტატის მონაცემთა სტრუქტურის განსაზღვრა ხდება ორი სახის მაიდენტიფიცირებელი მახასიათებლის, ე.წ. მსაზღვრელებისა და ატრიბუტების მეშვეობით:
 - **მსაზღვრელები** თვისებრივად ახასიათებს მონაცემებს, აღწერს რამათ სპეციალური მახასიათებლების (როგორებიცაა ინსტრუმენტის სახე, მისი სტატუსი, ვადიანობა, კონტრაგენტის რეზიდენტობა, საქმიანობის სახე და ა.შ.) მეშვეობით;
 - **ატრიბუტი** რაოდენობრივად ახასიათებს მონაცემებს (ზომის ერთეულის და სხვა მსგავსი მახასიათებლების მეშვეობით).
- 2.3. მსაზღვრელებისა და ატრიბუტების გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებული ერთობლიობა იძლევა გასაღებს, რომელიც ახდენს კონკრეტული მონაცემის იდენტიფიცირებას.

მსაზღვრელებისა და ატრიბუტების თითოეული შესაძლო მნიშვნელობა ჩამოყალიბებულია **კოდების სიების სახით**.

- 2.4. ეროვნულ ბანკში ფინანსურ და სტატისტიკურ მაჩვენებელთა არაერთგვაროვნებიდან გამომდინარე, სისტემა იყოფა მონაცემთა ოჯახებად. ეს ოჯახებია:
 1. ყოველთვიური ფინანსური და სტატისტიკური მაჩვენებლები (FIM);
 2. ყოველდღიური ფინანსური მაჩვენებლები (FID);
 3. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები (FEX);
 4. ფულადი გზავნილების სტატისტიკა (MTR);
 5. საგადახდო ბარათების სტატისტიკა (PCS);
 6. საბანკო გადარიცხვების სტატისტიკა (BTR);
 7. საკასო სტატისტიკა (CSH).

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკურ მონაცემთა მე-5-მე-7 ოჯახები საბსტატის გაფართოების პროდუქტებია (მათი მეთოდოლოგიური გზამკვლევები გამოცემულია ამ სახელმძღვანელოზე დამატებების სახით). ამასთან, PCS ოჯახმა შეცვალა თავდაპირველად არსებული BPC მონაცემთა ოჯახი (იხ. საბსტატის სახელმძღვანელოს პირველი გამოცემა). უახლოეს მომავალში სისტემა გაფართოვდება ახალი მონაცემთა ოჯახებით, როგორებიცაა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების სტატისტიკა (MRR), თაღლითობის სტატისტიკა (FRD), საცნობარო მონაცემები (MEM).

რა უპირატესობები გააჩნია სებსტატს?

სებსტატი, როგორც მონაცემთა მოდელი

3.1. სებსტატი წარმოადგენს ეროვნული ბანკის ინფორმაციულ მოდელს, რომელიც:

- ა) მოიცავს სტატისტიკური მონაცემებისა და მეტამონაცემების სტანდარტიზებულ სტრუქტურას;
- ბ) მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სტატისტიკურ ბიზნეს-პროცესს ეროვნულ ბანკში მისი ცენტრალიზაციის გზით და ამალღებს სტატისტიკური საქმიანობის პროდუქტიულობას;
- გ) საშუალებას იძლევა მოპოვებულ იქნას ინფორმაცია სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან უნიფიცირებული სქემით;
- დ) აუმჯობესებს სტატისტიკური საქმიანობის კოორდინაციას ეროვნულ ბანკში და პრაქტიკულად გამორიცხავს ფინანსური ინსტიტუტებიდან მონაცემთა მოთხოვნის დუბლირებას და შესაბამისად მნიშვნელოვნად ამცირებს საანგარიშგებო ტვირთს;
- ე) ახდენს სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის ჰარმონიზაციას;
- ვ) უზრუნველყოფს შეცდომების იდენტიფიცირებას მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების ადრეულ სტადიაში და გამორიცხავს შეცდომებს;
- ზ) ზოგავს დროს სტატისტიკური მონაცემების ანალიზისათვის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით;
- თ) ადვილია ფინანსურ სექტორში განხორციელებული ინიციატივების ზედმეტი დანახარჯების გარეშე ასახვის თვალსაზრისით;
- ი) აუმჯობესებს ცენტრალურ ბანკსა და ფინანსურ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის ხარისხს;
- ი) ადვილია სტატისტიკური ბიზნეს-პროცესის აღწერისა და გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით.



სებსტატის წარმოების პრინციპები და ზოგადი არქიტექტურა


სებსტატის წარმოების პრინციპები

- 4.1. სებსტატის წარმოება ემყარება მკაფიოდ განსაზღვრულ პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ქვემოთ:
- 4.1.1. **გამჭვირვალობის პრინციპი**, რაც გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი სტატისტიკური მონაცემი, რომელიც მიიღება რესპონდენტი ბანკიდან, არის ზედმინევენით ზუსტად და მკაფიოდ სტრუქტურირებული და ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ნახოს იგი რა კომპონენტებს მოიცავს, ან არ მოიცავს.
- 4.1.2. **ერთი ჩანაწერის პრინციპი** - გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი ფინანსური/არაფინანსური ინსტრუმენტი სისტემაში იწერება ერთხელ. ეს მიდგომა მთლიანად გამორიცხავს დუბლირებას და მონაცემთა შორის შეუსაბამობას. აგრეთვე მნიშვნელოვნად ამცირებს საანგარიშგებო ტვირთს.
- 4.1.3. **ზუსტი თანმიმდევრულობის პრინციპი** - გულისხმობს იმას, რომ სებსტატის ჩარჩოებში სტატისტიკური ბიზნეს-პროცესი ორგანიზებულია ზედმინევენით ზუსტი და მკაფიო დოკუმენტირებული პროცედურებით, რომლებიც ხორციელდება დადგენილი თანმიმდევრობით, რაც უზრუნველყოფს მუშაობის მაღალ ხარისხსა და კულტურას, მონაცემთა ხარისხის საიმედოობას და დროულობას.
- 4.1.4. **ორმხრივი სარგებლიანობის პრინციპი** - გულისხმობს იმას, რომ სებსტატში ჩართული ორივე მხარე, ანუ როგორც ინფორმაციის მომწოდებელი, ისე ეროვნული ბანკი „მოგებულია“ სებსტატში ჩართულობით, რადგანაც იგი უზრუნველყოფს მეთოდოლოგიის ერთიანობასა და გამჭვირვალობას, მონაცემთა საიმედოობას, დროულობასა და მაღალ ხარისხს.


სებსტატის ზოგადი არქიტექტურა

4.2. სებსტატის ზოგადი არქიტექტურა მარტივია და გულისხმობს მასში შემავალ მონაცემთა ოჯახების ერთობლიობას. მისი ასეთი აგებულება აიოლებს სისტემის ჩარჩოების გაფართოების შესაძლებლობას სტრუქტურულად და შინაარსობრივად განსხვავებული ინფორმაციის მოპოვების საჭიროების შემთხვევაში. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში, მოხდება სისტემის ქვემოთქცევის (ოჯახების) რაოდენობის გაზრდა, (იხ.სქემა 4.1), ან სათანადო კლასიფიკატორ(ებ)ში შესაბამისი ელემენტ(ებ)ის დამატება.

სქემა 4.1. სებსტატის სტრუქტურა



სქემა 4.2. სებსტატის სტრუქტურის გაფართოება






მონაცემთა სტრუქტურის აღწერა

5.1. მონაცემთა სტრუქტურის აღწერის ზოგადი სქემა

5.1.1. სეგსტატის თითოეული ოჯახის მონაცემთა სტრუქტურა აღწერილია შესაბამისი კლასიფიკატორებით (კოდების სიებით), რომელთა საფუძველზეც ყალიბდება თითოეული მონაცემის შინაარსის აღმწერი ინდივიდუალური კოდი.

სქემა 5.1. სეგსტატის მონაცემთა სტრუქტურის აღწერის ზოგადი სქემა




5.2. ყოველთვიური ფინანსური და სტატისტიკური მაჩვენებლების სტრუქტურის აღწერა

5.2.1. FIM ოჯახი: ყოველთვიური ფინანსური და სტატისტიკური მაჩვენებლების სტატისტიკა - მოიცავს ფინანსური ინსტიტუტის ყოველთვიურ ფინანსურ მაჩვენებლებს და სტრუქტურირებულია მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის, აგრეთვე საზედამხედველო მიზნების შესაბამისად.

FIM ოჯახის მონაცემთა სტრუქტურა სქემატურად წარმოდგენილია ქვემოთ (სქემა 5.2):

სქემა 5.2. FIM მონაცემთა ოჯახის სტრუქტურის აღწერის სქემა



ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია FIM ოჯახის კოდების სია, თითოეული მათგანის დანიშნულება, ზომა და ადგილი მონაცემთა სტრუქტურაში (ცხრილი 5.1):

ცხრილი 5.1. FIM ოჯახი: მონაცემთა სტრუქტურის აღწერის სქემა

ადგილი გასაღებში	CodeList	თანრიგის ზომა	დასახელება	დანიშნულება
1	CL_Family	3	გასაღებთა ოჯახი	მონაცემთა ოჯახის იდენტიფიცირება
2	CL_Source	3	ფინანსური ინსტიტუტი	ინფორმაციის წყაროს (ფინანსური ინსტიტუტის) იდენტიფიცირება
3	CL_Freq	2	პერიოდის ტიპი/სიხშირე	ინფორმაციის წარდგენის სიხშირის იდენტიფიცირება
4	CL_Ins	6	ინსტრუმენტი (ფინანსური/ არაფინანსური)	ფინანსური/არაფინანსური ინსტრუმენტის იდენტიფიცირება
5	CL_Sta	2	ინსტრუმენტის სტატუსი (აქტივი/ პასივი)	ინსტრუმენტის სტატუსის (აქტივი/ ვალდებულება) იდენტიფიცირება
6	CL_Stfl	2	ნაშთი/ნაკადი	ნაშთის/ნაკადის იდენტიფიცირება
7	CL_Mat	4	ინსტრუმენტის ვადიანობა	ინსტრუმენტის ვადიანობის იდენტიფიცირება
8	CL_Cur	3	ვალუტა	ვალუტის სახეობის იდენტიფიცირება
9	CL_Res	2	რეზიდენტობა	კონტრაგენტის რეზიდენტობის იდენტიფიცირება
10	CL_Sec	6	ინსტიტუციური სექტორი	კონტრაგენტის ინსტიტუციური სექტორის იდენტიფიცირება
11	CL_Nac	2	ეკონომიკური საქმიანობის სახე	კონტრაგენტის ეკონომიკური საქმიანობის იდენტიფიცირება
12	CL_Reg	3	რეგიონი	ოპერაციის გეოგრაფიის იდენტიფიცირება
13	CL_Lop	7	სესხებზე დამატებითი ინფორმაცია	სესხებთან დაკავშირებული დამატებითი პარამეტრების იდენტიფიცირება
14	CL_Loc	3	სესხების უზრუნველყოფა	სესხების უზრუნველყოფის სახეობის იდენტიფიცირება
15	CL_Rng	2	რანჟირება	ინსტრუმენტის (სესხების/დევოზიტების) მოცულობის ინტერვალის მიხედვით რანჟირება
16	CL_Ir	6	საპროცენტო განაკვეთები	საპროცენტო განაკვეთის ამსახველი ატრიბუტი
17	CL_MType	2	შეფასების ტიპი	შეფასების ატრიბუტი

ცხრილი 5.2. FIM ოჯახი: მოთხოვნები ატრიბუტებისადმი

ატრიბუტები	დასახელება	კოდის მნიშვნელობა	კოდის სახელწოდება
	შეფასების ტიპი (CL_MType)		
	საბალანსო ღირებულება (BV)	ლარი	ლარი
	შენიშვნა: სესხების და დეპოზიტების შემთხვევაში ორიგინალური ვალუტით	ლარი, დოლარი, ...	ლარი, დოლარი, ...
	საბაზრო ღირებულება (MV)	ლარი	ლარი
	ერთეული	1	ერთეული
	ათწილადი	4	ოთხი
	რაოდენობა (QV)	1	ერთეული
	საპროცენტო განაკვეთი (CL_Ir)	8	ერთეული
	ფორმატი	000.0000	საპროცენტო განაკვეთი
	ათწილადი	4	ოთხი

5.2.2. FIM ოჯახი: სებ-ის მოთხოვნები

სებ-ის მოთხოვნები წარმოადგენს მონაცემთა ოჯახის (ამ შემთხვევაში FIM მონაცემთა ოჯახის) მიხედვით მსაზღვრელებისა და ატრიბუტების საჭირო კომბინაციებს, რომლებიც შეესაბამება სებ-ში წარმოსადგენი ინფორმაციის შინაარსს.

მოთხოვნების ფორმირება ხდება მონაცემთა სტრუქტურაში მე-4 თანრიგით განსაზღვრული ელემენტის (CL_Ins) მიხედვით.

FIM ოჯახის მოთხოვნები ფორმირებულია ინსტრუმენტების (ფინანსური და არაფინანსური) მიხედვით.

5.3. ყოველდღიური ფინანსური და სტატისტიკური მაჩვენებლების სტრუქტურის აღწერა

5.3.1. FID ოჯახი: ყოველდღიური ფინანსური და სტატისტიკური მაჩვენებლების სტატისტიკა - მოიცავს ფინანსური ინსტიტუტის ყოველდღიურ ფინანსურ მაჩვენებლებს და სტრუქტურირებულია მონეტარული და ფინანსური სტატისტიკისა და მონეტარული პოლიტიკის მიზნების შესაბამისად.

ცხრილი 5.3. FID ოჯახი: მონაცემთა სტრუქტურის აღწერის სქემა

ადგილი გასაღებში	CodeList	თანრივის ზომა	დასახელება	დანიშნულება
1	CL_Family	3	გასაღებთა ოჯახი	მონაცემთა ოჯახის იდენტიფიცირება
2	CL_Source	3	ფინანსური ინსტიტუტი	ინფორმაციის წყაროს (ფინანსური ინსტიტუტის) იდენტიფიცირება
3	CL_Freq	2	პერიოდის ტიპი/სიხშირე	ინფორმაციის წარდგენის სიხშირის იდენტიფიცირება
4	CL_Ins	6	ინსტრუმენტი (ფინანსური/ არაფინანსური)	ფინანსური/არაფინანსური ინსტრუმენტის იდენტიფიცირება
5	CL_Sta	2	ინსტრუმენტის სტატუსი (აქტივი/ პასივი)	ინსტრუმენტის სტატუსის (აქტივი/ვალდებულება) იდენტიფიცირება
6	CL_Stfl	2	ნაშთი/ნაკადი	ნაშთის/ნაკადის იდენტიფიცირება
7	CL_Mat	4	ინსტრუმენტის ვადიანობა	ინსტრუმენტის ვადიანობის იდენტიფიცირება
8	CL_Cur	3	ვალუტა	ვალუტის სახეობის იდენტიფიცირება
9	CL_Res	2	რეზიდენტობა	კონტრაგენტის რეზიდენტობის იდენტიფიცირება
10	CL_Sec	6	ინსტიტუციური სექტორი	კონტრაგენტის ინსტიტუციური სექტორის იდენტიფიცირება
11	CL_Nac	2	ეკონომიკური საქმიანობის სახე	კონტრაგენტის ეკონომიკური საქმიანობის იდენტიფიცირება
12	CL_Lop	7	სესხებზე დამატებითი ინფორმაცია	სესხებთან დაკავშირებული დამატებითი პარამეტრების იდენტიფიცირება
13	CL_MType	2	შეფასების ტიპი	შეფასების ატრიბუტი

ცხრილი 5.4. FID ოჯახი: მოთხოვნები ატრიბუტებისადმი

	დასახელება	კოდის მნიშვნელობა	კოდის სახელწოდება
ატრიბუტები	შეფასების ტიპი		
	საბალანსო ღირებულება	ლარი	ლარი
	შენიშვნა: სესხების და დეპოზიტების შემთხვევაში ორიგინალური ვალუტით	ლარი, დოლარი, ...	ლარი, დოლარი, ...
	ერთეული	1	ერთეული
	ათწილადი	4	ოთხი

5.4. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების სტატისტიკური მაჩვენებლების სტრუქტურის აღწერა

5.4.1. FEX ოჯახი: უცხოური ვალუტის ოპერაციების მაჩვენებლების სტატისტიკა - მოიცავს ინფორმაციას კომერციული ბანკების მიერ უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციების შესახებ, სხვადასხვა ჭრილებში.

ცხრილი 5.5. FEX ოჯახი: მონაცემთა სტრუქტურის აღწერის სქემა

ადგილი გასაღებში	CodeList	თანრიგის ზომა	დასახელება	დანიშნულება
1	CL_Family	3	გასაღებთა ოჯახი	გასაღებთა ოჯახის იდენტიფიცირება
2	CL_Source	3	ფინანსური ინსტიტუტი	ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირება
3	CL_Freq	2	პერიოდის ტიპი/სიხშირე	ინფორმაციის წარდგენის სიხშირის იდენტიფიცირება
4	CL_TType	2	ოპერაციის ტიპი	ოპერაციის ტიპის (სპოტი, სვოპი, ფორვარდი და ა.შ.) იდენტიფიცირება
5	CL_Contr	3	კონტრაგენტი	რესპონდენტის კონტრაგენტის იდენტიფიცირება
6	CL_Cur	3	შეძენილი ვალუტა	შეძენილი ვალუტის სახეობის იდენტიფიცირება
7	CL_Cur	3	გაყიდული ვალუტა	გაყიდული ვალუტის სახეობის იდენტიფიცირება
8	CL_MType	2	შეფასების ტიპი	ოპერაციის მოცულობის იდენტიფიცირება (ორიგინალური ვალუტით)

5.4.2. უცხოური ვალუტით ვაჭრობის ოპერაციები სებ-ში წარდგენილ უნდა იქნეს:

- ▣ ორიგინალური ვალუტით;
- ▣ ერთეულებში (არა ათასებში ან მილიონებში);
- ▣ ოთხი ათწილადი ნიშნით.

5.4.3. FEX ოჯახის მონაცემთა მომზადებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ყოველთვის ანგარიშგებაში ოპერაციები აისახება ვალუტირების თარიღის შესაბამისად და არა გარიგების თარიღის მიხედვით. ანუ, თუ ვალუტირების თარიღი გადადის საანგარიშოს მომდევნო თვეში, ასეთი ოპერაცია მიმდინარე ანგარიშგებაში არ ჩაირთვება.

5.4.4. ანგარიშგებაში არ მონაწილეობს აგრეთვე ბანკის შიდა კონვერტაციები.

ცხრილი 5.6. FEX ოჯახი: მოთხოვნები ატრიბუტებისადმი

	დასახელება	კოდის მნიშვნელობა	კოდის სახელწოდება
ატრიბუტები	შეფასების ტიპი		
	ნაყიდი/გაყიდული ვალუტის საბაზრო ღირებულება	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
		ევრო	ევრო
		...	...
		...	...
	ერთეული	1	ერთეული
	ათწილადი	4	ოთხი

5.5. ფულადი გზავნილების სტატისტიკური მაჩვენებლების სტრუქტურის აღწერა

5.5.1. MTR ოჯახი: ფულადი გზავნილების მაჩვენებლების სტატისტიკა - მოიცავს მონაცემებს სწრაფი ფულადი გზავნილების შესახებ საქართველოში და საქართველოდან, ფულად და რაოდენობრივ გამოსახულებაში.

ცხრილი 5.7. MTR ოჯახი: მონაცემთა სტრუქტურის აღწერის სქემა

ადგილი გასაღებში	CodeList	თანრიგის ზომა	დასახელება	დანიშნულება
1	CL_Family	3	გასაღებთა ოჯახი	გასაღებთა ოჯახის იდენტიფიცირება
2	CL_Source	3	ფინანსური ინსტიტუტი	ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირება
3	CL_Freq	2	პერიოდის ტიპი/სიხშირე	ინფორმაციის წარდგენის სიხშირის იდენტიფიცირება
4	CL_Sys	3	ელექტრონული სისტემა	სისტემის ტიპის იდენტიფიცირება
5	CL_Inout	1	ოპერაციის ტიპი	ოპერაციის ტიპის იდენტიფიცირება
6	CL_Coun	3	ქვეყანა	რესპონდენტის კონტრაგენტის იდენტიფიცირება
7	CL_Cur	3	ვალუტა	ოპერაციის ვალუტის იდენტიფიცირება
8	CL_MType	2	შეფასების ტიპი	ოპერაციის მოცულობის/რაოდენობის იდენტიფიცირება

5.5.2. მონაცემები ფულადი გზავნილების შესახებ სებ-ში წარდგენილ უნდა:

- ორიგინალური ვალუტით;
- ერთეულებში (არა ათასებში ან მილიონებში);
- ოთხი ათწილადი ნიშნით.

ოპერაციების რაოდენობა მითითებულ უნდა იქნეს ერთეულებში.

ცხრილი 5.8. MTR ოჯახი: მოთხოვნები ატრიბუტებისადმი

	დასახელება	კოდის მნიშვნელობა	კოდის სახელწოდება
ატრიბუტები	შეფასების ტიპი		
	საბაზრო ღირებულება	აშშ დოლარი	აშშ დოლარი
		ევრო	ევრო
		...	...
		...	...
	ერთეული	1	ერთეული
	ათწილადი	4	ოთხი

5.5.3. პრაქტიკაში, შესაძლოა ფულადი გზავნილის გამომგზავნის დავალებით, ფულადი გზავნილის მიმღებზე გაცემა მოხდეს გადმორიცხული თანხის ლარის ეკვივალენტში (ან სხვა ვალუტაში). ასეთ შემთხვევაში, სებსტატი შესაბამისი თანხა უნდა აისახოს გადმორიცხული თანხის ვალუტაში და არა ლარებში (ან სხვა ვალუტაში). მაგრამ, თუ განსაკუთრებულ კერძო შემთხვევაში, ბანკს მაინც უჭირს გამოგზავნილი ვალუტის იდენტიფიცირება, ამ შემთხვევაში სებსტატი დასაშვებად მიიჩნევა შესაბამისი თანხის ლარში წარდგენას.

- 5.5.4. თუ, დროთა განმავლობაში, ბანკი ჩაერთვება ელექტრონული გზავნილების რომელიმე სხვა სისტემაში, რომელიც არ არის მითითებული CL_Sys კლასიფიკატორში (კოდე ლისტში), მაშინ ანგარიშგების (ანუ MTR ოჯახის) ატვირთვამდე ამ ბანკმა უნდა შეატყობინოს ეროვნულ ბანკს ამ კონკრეტული სისტემის სახელი, რათა იგი დაემატოს კლასიფიკატორს და ბანკმა შეძლოს თავისი ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენა.
- 5.6. ამოღებულია (შეიცვალა PCS მონაცემთა ოჯახით; იხ.: სექსტატი 1).
- 5.7. კლასიფიკატორები (კოდე ლისტები)
- 5.7.1. გასაღებთა ოჯახის (CodeList CL_Family) კლასიფიკატორი ახდენს გასაღებთა ოჯახის იდენტიფიცირებას.

თითოეული გასაღებთა ოჯახი შეესაბამება კონკრეტული ინფორმაციის ტიპს:

- FIM – ყოველთვიური ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაცია;
- FID – ყოველდღიური ფინანსური ინფორმაცია;
- FEX – უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციების სტატისტიკა;
- MTR – ფულადი გზავნილების სტატისტიკა;
- PCS – საგადახდო ბარათების სტატისტიკა (იხ.: დამატება 1);
- BTR – საბანკო გადარიცხვების სტატისტიკა (იხ.: დამატება 2);
- CSH -საკასო სტატისტიკა (იხ.: დამატება 3).

თითოეული გასაღებთა ოჯახი მოიცავს შესაბამისი მონაცემების მაიდენტიფიცირებელ გასაღებთა ერთობლიობას.

გასაღებთა ოჯახში შემავალი თითოეული გასაღები ყალიბდება შესაბამისი მონაცემის სტრუქტურის სათანადო კლასიფიკატორებით აღწერის გზით და შეესაბამება ზემოთ აღწერილ ქვემოდულებში (ოჯახებში) კლასიფიკატორების (თანრიგების) თანმიმდევრობას და ზომას.

- 5.7.2. **ფინანსური ინსტიტუტების კლასიფიკატორი (CodeList CL_Source)** ახდენს ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირებას.

გამომდინარე იქიდან, რომ სუბსტატი ფინანსური სექტორის საქმიანობის რაოდენობრივი შესწავლის მიზანს ემსახურება, ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს თითოეული ფინანსური ინსტიტუტი, სტრუქტურირებული ფინანსური სექტორის ქვესექტორების მიხედვით. ფინანსური სექტორის ქვესექტორებია (ცხრილი 5.9):

ქვესექტორის დასახელება	კოდი
ფინანსური სექტორი	S12000
ცენტრალური ბანკი	S12100
სხვა დეპოზიტური კორპორაციები	S12200
კომერციული ბანკები	S12210
საკრედიტო კავშირები	S12220
სხვა ფინანსური კორპორაციები	S12300
სადაზღვევო კომპანიები და საპენსიო ფონდები	S12310
სადაზღვევო კომპანიები	S12311
საპენსიო ფონდები	S12312
სხვა ფინანსური შუამავლები	S12320
მიკროსაფინანსო ორგანიზაციები	S12321
სალიზინგო კომპანიები	S12322
საინვესტიციო ბანკები	S12323
პოლდინგური კომპანიები	S12324
სხვა	S12325
დამხმარე ფინანსური ინსტიტუტები	S12330
ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები	S12331
ბროკერები	S12332
სხვა	S12333

5.7.3. სეხსტატის ყოვლისმომცველი შინაარსის გამო, მისი დანერგვა ერთბაშად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, პირველ ეტაპზე მოხდა მისი დანერგვა კომერციულ ბანკებში. შესაბამისად, ინფორმაციის წყაროს, ამ ეტაპზე, კომერციული ბანკები წარმოადგენს და კლასიფიკატორში (CL_Source) მოცემულია სწორედ კომერციული ბანკების კოდები. მომდევნო ეტაპებზე, სეხსტატში სხვა ფინანსური ინსტიტუტების ჩართვის კვალობაზე, აღნიშნული კლასიფიკატორი გაფართოვდება შესაბამისი ინსტიტუტების დასახელებებით და შესაბამისი კოდებით.

სეხსტატის კონცეფციით, აღნიშნული მიდგომა მართებულია ყველა კლასიფიკატორის მიმართ, რაც სისტემას ანიჭებს უპირატესობას მოქნილობისა და ადაპტირებადობის თვალსაზრისით.

ჩანართი 5.1: როგორ მოვახდინოთ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების კლასიფიცირება?

იმისათვის, რომ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (როგორებიცაა EBRD, ADB და ა.შ.) კლასიფიცირება მოხდეს სათანადოდ, სექტორების კლასიფიკატორს (CL_Sec), დამატა პირობითი კოდები:

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები	S20000
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	S21000
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	S22000
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	S23000
მსოფლიო ბანკი (WB)	S24000
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	S25000
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)	S26000
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	S27000
რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	S29000
საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (IDA)	S30000
მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების ასოციაცია (MIGA)	S31000

ჩანართი 5.1: გაგრძელება

ინტერამერიკული განვითარების ბანკი (IDB)	S32000
აფრიკის განვითარების ბანკი (AFDB)	S33000
რესტრუქტურის საკრედიტო ინსტიტუტი (KfW)	S34000
გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების ჯგუფი (KfW Group)	S35000
უცხოური კერძო ინვესტიციების კორპორაცია (OPIC)	S36000
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის (EFSE)	S37000
ნიდერლანდების განვითარების ფინანსური კომპანია (FMO)	S38000
სხვა	S28000

შესაბამისად, მაგალითად, ტერაბანკმა საანგარიშო თვის განმავლობაში მიიღო სესხი EBRD-დან უცხოური ვალუტით, 5-დან 10 წლამდე ვადით, 7.0000%-ად, და რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც სტანდარტული სესხი. შესაბამისი ინფორმაციის იდენტიფიკაციისათვის საჭირო გასაღებს ეწეება შემდეგი სახე:

CL_Family	CL_Source	CL_Freq	CL_Ins	CL_Sta	CL_Stfl	CL_Mat	CL_Cur	CL_Res	CL_Sec	CL_Nac	CL_Reg	CL_Lop	CL_Loc	CL_Rng	CL_IR	CL_MType
FIM	BKS	MM	F04000	LI	FL	T120	FRC	NN	S21000	J0	R13	0811101	XXX	XX	007.0000	BV
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17

სადაც:

1. FIM - ყოველთვიური ფინანსური და სტატისტიკური მაჩვენებლების ოჯახი
2. BKS - ინფორმაციის წყარო (ამ მაგალითზე, ტერაბანკი)
3. MM - პერიოდის ტიპი
4. F04000 - ინსტრუმენტი
5. LI - ვალდებულება
6. FL - ნაკადი
7. T120 - ვადიანობა (5-დან 10 წლამდე)
8. FRC - ვალუტა - უცხოური
9. NN - კონტრაგენტი - არარეზიდენტი
10. S21000 - სექტორი (ამ მაგალითზე, IBRD)
11. J0 - კონტრაგენტის საქმიანობის სახე - ფინანსური შუამავლობა
12. R13 - რეგიონი - საზღვარგარეთი
13. 0811101 - დამატებითი ინფორმაცია სესხებზე - „სხვა სესხი“, სტანდარტული, ვადაგადაცელების გარეშე
14. უზრუნველყოფა - XXX
15. რანჟირება - XX (მოითხოვება მხოლოდ გაცემულ სესხებზე)
16. საპროცენტო განაკვეთი
17. საბალანსო ღირებულება

5.7.4. **პერიოდის ტიპის კლასიფიკატორი (CodeList CL_Freq)** ახდენს ინფორმაციის წარდგენის სიხშირის იდენტიფიცირებას.

დღეისათვის ეროვნული ბანკის ანგარიშგება ითვალისწინებს ფინანსური ინსტიტუტების მიერ ინფორმაციის ყოველდღიური (DD), ორკვირეული (W2) და ყოველთვიური (MM) პერიოდულობით წარდგენას. პერიოდის ტიპის კლასიფიკატორში (CL_Freq) კვარტალური (QQ) და წლიური პერიოდულობის (YY) მითითება დაკავშირებულია საჭიროების შემთხვევაში ამ პერიოდულობით ანგარიშგების შემოდების შესაძლებლობის დაშვებასთან, თუმცა, გამორიცხული არ არის ნახევარწლიური (ან სხვა პერიოდულობის) ანგარიშგების დამატებაც, საჭიროების შემთხვევაში.

5.7.5. **ინსტრუმენტის (ფინანსური/არაფინანსური) კლასიფიკატორი (CodeList CL_Ins)** ახდენს ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტების იდენტიფიცირებას.

სებსტატში გამოყენებული ფინანსური და არაფინანსური ინსტიტუტების კლასიფიკატორი (CL_Ins) შეესაბამება მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის სფეროში საერთაშორისო სავალუტო ფონდის დღეისათვის მოქმედ მეთოდოლოგიებს (Monetary and Financial Statistics Manual. International Monetary Fund. 2000; Monetary and Financial Statistics Compilation Guide. International Monetary Fund. 2008).

მეორე მხრივ, ეს კლასიფიკატორი მოიცავს ყველა იმ ინსტრუმენტს (და არაფერს განსხვავებულს), რომელთა შესახებ კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში ინფორმაციის წარდგენის პრაქტიკა აპრობირებული იყო ექსელის ფაილების სახით.

5.7.6. **ინსტრუმენტის სტატუსის (აქტივი/პასივი) კლასიფიკატორი (CodeList CL_Sta)** ახდენს ინსტრუმენტის იდენტიფიცირებას მასთან (ინსტრუმენტთან) მიმართებაში დებიტორსა და კრედიტორს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესაბამისად.

5.7.7. **ნაშთი/ნაკადის კლასიფიკატორი (CodeList CL_Stfl)** ახდენს დროის გარკვეული მომენტისათვის ინსტრუმენტის მდგომარეობის (ნაშთის) ან დროის გარკვეულ პერიოდში ინსტრუმენტის ცვლილების (ნაკადის) იდენტიფიცირებას.

5.7.8. პერიოდის განმავლობაში მთლიანი ნაკადი 3 კომპონენტისაგან ყალიბდება. ესენია: ოპერაციები, აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების ცვლილება და აქტივებისა და ვალდებულებების სხვა ცვლილებები (MFSM §190¹).

5.7.9. **ოპერაციასთან** საქმე გვაქვს, როდესაც კონტრაგენტ ეკონომიკურ ერთეულებს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ხდება აქტივებისა და ვალდებულებების წარმოქმნა (მათ შორის ვადაგადაცდილებული სესხების), ლიკვიდაცია ან მათზე საკუთრების უფლების ცვლილება. ამ უკანასკნელს ადგილი აქვს ფინანსური აქტივის ან ვალდებულების გაყიდვის, ტრანსფერის ან აქტივებთან და ვალდებულებებთან ასოცირებული ყველა უფლებისაგან, ვალდებულებისა და რისკებისაგან განთავისუფლების შედეგად (MFSM §191).

5.7.10. **აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების ცვლილებასთან** საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც მათი ღირებულება განიცდის ცვლილებას მათზე ფასების ცვლილების, ან/და გაცვლითი კურსის გამყარებით/გაუფასურებით გამოწვეულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების ცვლილების გამო (MFSM §191).

1 აქ და შემდგომ მსგავსი აღნიშვნებით მითითებულია მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის სახელმძღვანელოს (MFSM) და/ან მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის შედგენის გზამკვლევის (MFSCG) შესაბამისი პუნქტები.

აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების ცვლილების გაანგარიშების მეთოდები მოცემულია ქვეთავში 7.2. – „ოპერაციებისა და ღირებულების ცვლილებების გაანგარიშება“.

- 5.7.11. **აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებები**, გადაფასებით გამოწვეული ცვლილებისაგან განსხვავებით, უკავშირდება სხვა ფაქტორებით განპირობებულ ცვლილებებს. ასეთები შესაძლოა იყოს ვალდებულებების ჩამოწერა, აქტივების კლასიფიკაციის ცვლილება, ემიტენტის უარი სავალდებულო ფასიანი ქაღალდებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, ოქროს მონეტიზაცია ან დემონეტიზაცია, კატასტროფებისა და სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ცვლილებები და სხვა, მაგალითად, მაკორექტირებელი ცვლილებები (MFSM §191).
- 5.7.12. წინა საანგარიშო პერიოდებში დაშვებული შეცდომების **ღირებულების სხვა ცვლილებებში** ასახვა დაუშვებელია. ასეთი შეცდომები უნდა გასწორდეს.
- 5.7.13. **ინსტრუმენტის ვადიანობის კლასიფიკატორი (CodeList CL_Mat)** ახდენს ინსტრუმენტის იდენტიფიცირებას მისი ვადიანობის მიხედვით.



სებსტატის მიხედვით ინსტრუმენტის ვადიანობა განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

- 5.7.14. სებსტატი ახდენს ინსტრუმენტის კლასიფიცირებას მოკლევადიან და გრძელვადიან ინსტრუმენტებად შემდეგი სტრუქტურის გათვალისწინებით (ცხრილი 5.10):

ცხრილი 5.10. ვადიანობის კლასიფიკატორი

	კოდი
მოკლევადიანი	T111
30 დღის ჩათვლით	T030
31-91 დღის ჩათვლით	T091
92-182 დღის ჩათვლით	T182
183-365 დღის ჩათვლით	T365
გრძელვადიანი	T222
1-დან 2 წლის ჩათვლით	T024
2-დან 5 წლის ჩათვლით	T060
5-დან 10 წლის ჩათვლით	T120
10 წლით და მეტი ვადით	T121

- 5.7.15. **ვალუტების კლასიფიკატორი (CodeList CL_Cur)** ახდენს ინსტრუმენტის იდენტიფიცირებას ოპერაციის ვალუტის მიხედვით.

დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცვლითი კურსის დადგენა ხდება 43 ვალუტის მიმართ. სებსტატის საჭიროებისათვის ვალუტების კლასიფიკატორი (CL_Cur) მოიცავს ყველა 43 კომპონენტს, პლუს ეროვნული ვალუტა.

გარდა აღნიშნულისა, კომერციული ბანკები არ არიან შეზღუდული მიიღონ შინამეურნეობებისა და იურიდიული პირებისაგან დეპოზიტების სახით თანხები ამა თუ იმ ვალუტით, ან განახორციელონ ოპერაციები იმ ვალუტებით, რომელთა მიმართ ეროვნული ბანკი არ ადგენს კროს-კურსებს. აქედან გამომდინარე, ვალუტების კლასიფიკატორი მოიცავს დამატებით იმ ვალუტებსაც, რომლებშიც საქართველოს კომერციულმა ბანკებმა, ბოლო ერთ წელიწადში, განახორციელეს თუნდაც ერთი ოპერაცია.

5.7.16. **უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების** აღრიცხვისას ვალუტების კლასიფიკატორი გამოიყენება იმ ვალუტის სახეობების აღსანიშნავად, რომლის შეძენაც/გაყიდვაც განახორციელეს მხარეებმა. წარმოსადგენი ინფორმაციის იდენტიფიცირება ხდება გასაღების მეშვეობით, რომლის სტრუქტურაში რესპოდენტმა უნდა მიუთითოს ორი ვალუტა: (1) შეძენილი (მაგალითად, USD) და გაყიდული (ანუ, რომლითაც შეიძინა აღნიშნული ვალუტა, მაგალითად, ლარი); აქედან გამომდინარე, შესაბამისად უნდა მოხდეს ორი თანხის (Data Value) წარდგენა: მაგალითად, (1) შეძენილი USD 100, და (2) გაყიდული GEL 185. შესაბამისი მონაცემების ვალიდაციისას, მათი განაყოფი უნდა შეესაბამებოდეს ვალუტირების საშუალო კურსს.

ამასთან, თითოეული გასაღები უნდა შეესაბამებოდეს რესპოდენტი ბანკის მიერ თვის განმავლობაში მოცემულ კონტრაგენტთან კონკრეტული ვალუტის ყიდვის/გაყიდვის ოპერაციის ჯამს, ოპერაციის ტიპის (სვოპი, სპოტი, ფორვარდი და ა.შ.) მიხედვით.

5.7.17. ბანკის მიერ კონტრაგენტთან განხორციელებულ ოპერაციებში ჩაირთვება აგრეთვე ფიზიკური/ იურიდიული პირების მიერ სალაროში თანხის კონვერტაციის ოპერაციები, ინტერნეტბანკინგით კლიენტის მიერ განხორციელებული კონვერტაციები, აგრეთვე ოპერაციები, როდესაც კლიენტს არ ყოფნის მიმდინარე ვალდებულების დასაფარად თანხა მოცემულ ვალუტაში და ბანკი ავტომატურად უკეთებს კონვერტაციას სხვა ვალუტის ანგარიშიდან. ყველა კონვერტაცია, რომლის ანგარიშსწორება ხდება გარიგებიდან არაუმეტეს 2 დღის განმავლობაში, კლასიფიცირდება როგორც სპოტ-ოპერაცია, მიუხედავად იმისა, თუ რა საშუალებით განხორციელდა ოპერაცია: სალაროში, ინტერნეტბანკინგით თუ სხვა გზით.

5.7.18. **რეზიდენტობის კლასიფიკატორი (CodeList CL_Res)** ახდენს ფინანსური ინსტიტუტის (რესპოდენტის) კლიენტის (კონტრაგენტის) იდენტიფიცირებას რეზიდენტობის მიხედვით.

5.7.19. ესა თუ ის ეროვნული ეკონომიკა წარმოადგენს რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების ერთობლიობას. ის, თუ რა კრიტერიუმებს ეფუძნება რეზიდენტობის ცნების განმარტება, ფუნდამენტური საკითხია უტყუარი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტატისტიკის წარმოებისათვის. ამ საკითხში „კანონმდებელი“ და მსოფლიოში აღიარებული ეკონომიკური სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიური საფუძველი – ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, რომლის მეოთხე განახლებული ვერსია 2008 წელს გამოქვეყნდა, საკმაოდ ვრცლად განმარტავს რეზიდენტობის ცნებას, რაც იძლევა პრაქტიკულად ნებისმიერი სტატუსის ეკონომიკური ერთეულის რეზიდენტობის დადგენის შესაძლებლობას.

5.7.20. ეკონომიკური ერთეული იმ ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტია, რომელთანაც მას მყარი უპირატესი ეკონომიკური ინტერესები აკავშირებს. რას ნიშნავს მყარი ეკონომიკური ინტერესი? ეს არის მოცემული ეკონომიკის შიგნით ადგილსამყოფელის, საცხოვრისის, წარმოების ადგილის ან სხვა უძრავი ქონების არსებობა, რომელიც დაკავებული აქვს ეკონომიკურ ერთეულს და აპირებს კვლავაც დაიკავოს იგი განუსაზღვრელი ან განსაზღვრული, მაგრამ ხანგრძლივი ვადით, მნიშვნელოვანი მასშტაბის ეკონომიკური საქმიანობის ან ოპერაციების განხორციელების მიზნით. საერთაშორისო შესადარისობის მიზნით, მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ან ოპერაციების განხორციელების ხანგრძლივ პერიოდად 1 ან მეტი წლის ვადის დათქმა პირობითია და გაურკვევლობის თავიდან აცილებას ემსახურება.

5.7.21. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (SNA 2008) დეტალურად განმარტავს ეკონომიკური ერთეულების რეზიდენტობის განსაზღვრასთან დაკავშირებულ შემთხვევებს. კერძოდ:

ფიზიკური პირების რეზიდენტობა განისაზღვრება იმ შინამეურნეობის ძირითადი საცხოვრისის ადგილმდებარეობის მიხედვით, რომლის წევრიც არის მოცემული ფიზიკური პირი და არა მისი სამუშაო ადგილის მიხედვით. ერთი შინამეურნეობის ყველა წევრი ერთი და იგივე ეკონომიკის რეზიდენტია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი კვეთენ საზღვარს სამუშაოსთან დაკავშირებით ან გარკვეული პერიოდის საზღვარგარეთ გატარების მიზნით. თუ მათი საზღვარგარეთ მუშაობის და ყოფნის ხანგრძლივობა იძლევა მათ მიერ უცხოეთში უპირატესი ეკონომიკური ინტერესის შეძენის საფუძველს, მაშინ ისინი წვევდნენ მათი წარმოშობის შინამეურნეობის წევრობას.

- 5.7.22. ზოგიერთი შინამეურნეობის წევრები სხვადასხვა ზომით დაკავშირებულნი არიან სხვადასხვა ეკონომიკებთან დასაქმების, აქტივების ფლობის, მოქალაქეობის, მიგრაციის სტატუსის, შემოსავლების, სამემოსავლო გადასახადის, ხარჯების, ბიზნეს-ინტერესების მიხედვით. მიუხედავად ამისა, ასეთი წევრებისაგან შემდგარი შინამეურნეობა წარმოადგენს იმ ეკონომიკური ტერიტორიის რეზიდენტს, რომელზედაც ისინი ინარჩუნებენ ან განზრახული აქვთ შეინარჩუნონ ძირითადი საცხოვრისი. მოცემულ ეკონომიკურ ტერიტორიაზე ყოფნა ერთი წლის და მეტი პერიოდის განმავლობაში, ან ასეთის განზრახვა, საკმარისი პირობაა იმისათვის, რათა შინამეურნეობის საცხოვრისს მიეცეს ამ ეკონომიკურ ტერიტორიაზე მოცემული შინამეურნეობის ძირითადი საცხოვრისის კვალიფიკაცია.
- 5.7.23. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წინა გამოცემა (1993) არ ითვალისწინებდა შინამეურნეობების რეზიდენტობის განსაზღვრის ასეთ დეტალიზაციას. თუმცა, თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე ამის საჭიროება ნამდვილად არსებობს და 2008 წლიდან მოქმედებაში შესული ეს სახელმძღვანელო ამ პრობლემას თავს ნამდვილად ართმევს.
- 5.7.24. აღნიშნულ სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია ის შემთხვევაც, თუ შინამეურნეობის რომელიმე წევრი წვევს იმ ეკონომიკური ტერიტორიაზე ყოფნას (ცხოვრებას), რომლის რეზიდენტიც არის მისი შინამეურნეობა. ასეთ შემთხვევაში ეს ფიზიკური პირი აღარ ითვლება მოცემული შინამეურნეობის წევრად და მამასადამე – რეზიდენტად.
- 5.7.25. შედარებით ადვილია საწარმოებისა და არაკომერციული ორგანიზაციების რეზიდენტობის გარკვევა. ასეთი ინსტიტუტები წარმოადგენენ იმ ეკონომიკის რეზიდენტებს, სადაც არიან კანონიერად დაფუძნებული და დარეგისტრირებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე არიან დაფუძნებული და განლაგებული მათი სათაო ორგანიზაციები.

ამდენად, ფიზიკური პირის რეზიდენტობა განისაზღვრება იმ შინამეურნეობის ძირითადი საცხოვრისის ადგილმდებარეობის ქვეყნის მიხედვით, რომლის წევრადაც მიიჩნევა თავს მოცემული ფიზიკური პირი.

ჩანართი 5.2: რეზიდენტობის განსაზღვრის კერძო შემთხვევები

ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტის, მაგალითად ოქროს შემთხვევაში შეიძლება დაბნეულობა გამოიწვიოს კონტრაგენტის რეზიდენტობის განსაზღვრამ. თუ საქმე გვაქვს კომერციული ბანკის განკარგულებაში ნაშთის სახით არსებულ ოქროსთან, ასეთ შემთხვევაში კონტრაგენტის იდენტიფიცირება არ ხდება (CL_Res=XX, CL_Sec=XXXXXX, CL_Nac=XX). თუ საქმე გვაქვს ოქროსთან დაკავშირებულ ოპერაციასთან, ანუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეძენილი ოქროს ნაკადთან, მაშინ კონტრაგენტის რეზიდენტობის კოდი განისაზღვრება იმის შესაბამისად, თუ ვისგან/ვისზე მოხდა ოქროს შეძენა/გასხვისება.

- 5.7.26. **ინსტიტუციური სექტორის კლასიფიკატორი (CodeList CL_Sec)** ახდენს ანგარიშვალდებული ფინანსური ინსტიტუტის (რესპონდენტის) კლიენტის (კონტრაგენტის) იდენტიფიცირებას ინსტიტუციური სექტორის მიხედვით.
- 5.7.27. ეროვნული ეკონომიკის სექტორებად დაყოფა ეკონომიკური სტატისტიკის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. იგი გულისხმობს ეკონომიკური ერთეულების კლასიფიკაციას ეკონომიკაში მათი ფუნქციების შესაბამისად (ცხრილი 5.11):

ცხრილი 5.11. ეკონომიკის სექტორები და მათი ძირითადი ფუნქციები

ეკონომიკის სექტორები	ძირითადი ფუნქციები
სამეწარმეო სექტორი (არაფინანსური კორპორაციების სექტორი)	საქონლისა და არაფინანსური მომსახურების წარმოება ბაზარზე გასაყიდად
ფინანსური კორპორაციების სექტორი	ფინანსური მომსახურება, ფინანსური შუამავლობის ჩათვლით
სამთავრობო სექტორი	პოლიტიკური პასუხისმგებლობები და ეკონომიკის რეგულირება, აგრეთვე სამთავრობო მომსახურება (ძირითადად არასაბაზრო) ინდივიდუალური და კოლექტიური მოხმარებისათვის და შემოსავლებისა და დოვლათის გადანაწილება
შინამეურნეობების სექტორი	შინამეურნეობები წარმოადგენს ფიზიკურ პირს ან ფიზიკურ პირთა ჯგუფს. თითოეული ფიზიკური პირი ეროვნულ ეკონომიკაში მიეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ ერთ შინამეურნეობას. შინამეურნეობების ძირითადი ფუნქციაა სამუშაო ძალის მიწოდება, საბოლოო მოხმარების მიზნებისათვის და, როგორც მეწარმე, საბაზრო საქონლისა და არაფინანსური მომსახურების წარმოება.
შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი (შიმკაო)	არასაბაზრო მომსახურების გაწევა შინამეურნეობებისათვის, ან საზოგადოებისათვის მთლიანად.

ამასთან, ეკონომიკური ერთეულები ასევე კლასიფიცირდება საკუთრების ფორმის მიხედვით, როგორც სახელმწიფო (საჯარო) და კერძო საკუთრებაში მყოფი. ამ ნიშნის მიხედვით, ფუნქციების შესაბამისად კლასიფიცირებული ინსტიტუციური ერთეულები, ჯგუფდება შემდეგნაირად:

სქემა 5.3. ინსტიტუციური ერთეულების კლასიფიცირება სახელმწიფო და კერძო სექტორებად

სამეწარმეო (არაფინანსური კორპორაციების სექტორი)	ფინანსური კორპორაციების სექტორი	სამთავრობო სექტორი	შინამეურნეობები	შიმკაო
სახელმწიფო სექტორი	სახელმწიფო სექტორი	სახელმწიფო სექტორი	კერძო სექტორი	კერძო სექტორი
კერძო სექტორი	კერძო სექტორი			

- 5.7.28. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სათანადო კლასიფიცირების მიზნით, სებსტატის მიზნებისათვის სექტორების კლასიფიკატორს დაემატა პირობითი კოდები:

დასახელება	კოდი
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები	S20000
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	S21000
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	S22000
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	S23000
მსოფლიო ბანკი (WB)	S24000
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	S25000
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)	S26000
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	S27000
რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	S29000
საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (IDA)	S30000
მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო (MIGA)	S31000
ინტერამერიკული განვითარების ბანკი (IDB)	S32000
აფრიკის განვითარების ბანკი (AFDB)	S33000
რეკონსტრუქციის საკრედიტო ინსტიტუტი (KfW)	S34000
გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების ჯგუფი (KfW Group)	S35000
უცხოური კერძო ინვესტიციების კორპორაცია (OPIC)	S36000
ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის (EFSE)	S37000
ნიდერლანდების განვითარების ფინანსური კომპანია (FMO)	S38000
სხვა	S28000

5.7.29. **სამეწარმეო სექტორი (არაფინანსური კორპორაციების სექტორი)** აერთიანებს იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მფლობელობაში მყოფთ, ასევე უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილთ), რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას ბაზარზე გასატანად და ეწევიან ასევე საბაზრო მომსახურებას, გარდა საფინანსო მომსახურებისა.

ფინანსური კორპორაციების სექტორი

მოცვა

5.7.30. ფინანსური დაწესებულებების სექტორი მოიცავს ყველა დაწესებულებას, რომელთა ძირითადი ფუნქციაა ფინანსური შუამავლობა ან მასთან დაკავშირებული დამხმარე ფინანსური საქმიანობა. ფინანსური შუამავლობა განისაზღვრება როგორც საწარმოო საქმიანობის სახე, რომლის პროცესშიც ინსტიტუციური ერთეული ახდენს სახსრების მობილიზაციას, საკუთარ თავზე ვალდებულებების აღების გზით, ამ სახსრების სხვა ინსტიტუციური ერთეულებისათვის გადაცემის მიზნით, დაკრედიტების ან ფინანსური აქტივების შეძენის სხვა საშუალებებით. დამხმარე ხასიათის ფინანსური საშუამავლო მომსახურება შესაძლოა ხორციელდებოდეს მეორადი საქმიანობის სახით თვით ფინანსური შუამავლების მიერ, ან სპეციალური აგენტების ან ბროკერების მიერ.

5.7.31. ფინანსური დაწესებულებების სექტორი მოიცავს აგრეთვე იმ არაკომერციულ ორგანიზაციებს, რომლებიც: 1) ძირითადად დაკავებულნი არიან ფინანსური მომსახურების შეთავაზებით (მაგალითად, სადაზღვევო მომსახურებით) ან 2) ფინანსდებიან ფინანსური დაწესებულებების შენატანებით და მოწოდებულნი არიან იმოქმედონ ასეთი დაწესებულებების საქმიანობაზე ან სხვა გზით ემსახურონ მათ ინტერესებს.

5.7.32. ზოგიერთი კორპორაცია და კვაზიკორპორაცია ეწევა ფინანსურ მომსახურებას შეზღუდული მასშტაბით. მაგალითად, საცალო ვაჭრობით დაკავებული ზოგიერთი საწარმო უშუალოდ თავის კლიენტებს სთავაზობს სამომხმარებლო კრედიტს. ასეთი ერთეულები მთლიანად

კლასიფიცირდება როგორც სამენარმო სექტორის ინსტიტუტები, იმ პირობით, რომ ისინი ძირითადად არაფინანსური საქონლისა და მომსახურების წარმოებით არიან დაკავებული.

- 5.7.33. ფიზიკურ პირებსა და შინამეურნეობებს ასევე შეუძლიათ დაკავდნენ ფინანსური საქმიანობით, მაგალითად, ფულის გასესხებით ან უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვით. ასეთი ერთეულების ფინანსური სექტორის დაწესებულებად კლასიფიცირება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ითვლებიან ფინანსურ შუამავლებად ან დამხმარე ფინანსურ ერთეულებად, რომლებიც წარმოადგენენ კვაზიკორპორაციებს. ასეთად კლასიფიცირება კი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთეული აწარმოებს ანგარიშთა სრულ ნაკრებს, განცალკევებულს მფლობელთა პერსონალური ანგარიშებისაგან.

ფინანსური საქმეების ქვესაქმეობები

- 5.7.34. ფინანსური სექტორის ქვესექტორები მოცემულია ცხრილში 5.9:

- 5.7.35. **ცენტრალური ბანკი (S12100)** წარმოადგენს ეროვნულ ფინანსურ დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს კონტროლს ფინანსური სისტემის უმთავრეს ასპექტებზე და ეწევა ისეთ საქმიანობას, როგორიცაა ნაღდი ფულის ემისია, საერთაშორისო რეზერვების მართვა, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ოპერაციების განხორციელება და სხვა დეპოზიტური დაწესებულებების დაკრედიტება.

- 5.7.36. ზოგიერთ ქვეყანაში ცენტრალური ბანკები ასევე იღებენ დეპოზიტებს არაფინანსური ეკონომიკური ერთეულებისაგან ან გასცემენ კრედიტებს მათზე.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად (მუხლი 33, პუნქტი 1) საქართველოს ცენტრალური (ეროვნული) ბანკი უფლებამოსილია გასცეს კრედიტები კომერციულ ბანკებზე და არასაბანკო დეპოზიტურ დაწესებულებებზე, არაუმეტეს 3 თვის ვადით. აგრეთვე, საქართველოს ცენტრალური (ეროვნული) ბანკი იღებს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული სახელმწიფო დაწესებულებების დეპოზიტებს (მუხლი 54). დეპოზიტარის როლში ეროვნული ბანკი იღებს და გასცემს ფულად სახსრებს, აღრიცხავს და ეწევა ამასთან დაკავშირებულ სხვა საფინანსო მომსახურებას.

საქართველოს ცენტრალური (ეროვნული) ბანკი უფლებამოსილია აგრეთვე მისცეს სესხი ფინანსთა სამინისტროს.

- 5.7.37. **სხვა დეპოზიტური კორპორაციების ქვესექტორში (S12200)** გაერთიანებულია ყველა ფინანსური დაწესებულება (ცენტრალური ბანკის გარდა), რომელთა საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ფინანსური შუამავლობა და რომლებიც უშვებენ ფართო ფულის ეროვნულ განსაზღვრებაში შემავალ ვალდებულებებს.

სხვა დეპოზიტურ დაწესებულებებს მიეკუთვნება:

- კომერციული ბანკები;
- ინვესტიციური ბანკები;
- შემნახველი ბანკები, სასესხო-შემნახველი ასოციაციები, სამშენებლო საზოგადოებები და იპოთეკური ბანკები;
- საკრედიტო კავშირები და საკრედიტო კოოპერატივები;
- სასოფლო და სასოფლო-სამეურნეო ბანკები;
- კომპანიები, რომლებიც უშვებენ სამგზავრო ჩეკებს, და რომლებიც ძირითადად დაკავებულნი არიან ფინანსური დაწესებულებებისათვის დამახასიათებელი საქმიანობით.

თუმცა, ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და დაწესებულებებს, რომლებიც უშვებენ ფართო ფულის ეროვნულ განსაზღვრებაში შემავალ ვალდებულებებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა დასახელებებიც. ან პირიქით: აღნიშნული დასახელების მქონე დაწესებულება შეიძლება არ უშვებდეს შესაბამის ვალდებულებებს და ამიტომაც არ მიეკუთვნებოდეს სხვა დეპოზიტური დაწესებულებების კატეგორიას.

5.7.38. **სხვა ფინანსური კორპორაციების ქვესექტორში (S12300)** გაერთიანებულია სადაზღვევო კომპანიები და საპენსიო ფონდები; სხვა ფინანსური შუამავლები და დამხმარე ფინანსური ერთეულები.

5.7.39. **სადაზღვევო კომპანიებისა და საპენსიო ფონდების ქვესექტორში (S12310)** გაერთიანებულია:

სადაზღვევო კომპანიები (S12311) - ეკონომიკური ერთეულები, რომელთა პრინციპული ფუნქციაა სიცოცხლის დაზღვევა, უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევა, ავადმყოფობის დაზღვევა, ხანძარსაწინააღმდეგო და ინდივიდუალური ან ჯგუფური ინსტიტუციური ერთეულების სხვა სახის დაზღვევა.

საპენსიო ფონდები (S12312), რომლებიც ჩართულია მოცემულ ქვესექტორში, თავიანთი დამფუძნებლებისაგან დამოუკიდებელი ინსტიტუციური ერთეულებია. მათი დანიშნულებაა საპენსიო დამხმარებების გაცემა მუშაკთა ამა თუ იმ სპეციფიკურ ჯგუფებზე. ასეთი ფონდები ფლობენ საკუთარ აქტივებსა და ვალდებულებებს და ახორციელებენ ფინანსურ ოპერაციებს საკუთარ ხარჯზე. ეს ფონდები ორგანიზებულია და იმართება კერძო ან სახელმწიფო დამქირავებლების და მათი მუშაკების მიერ; მუშაკები და/ან დამქირავებლები რეგულარულად ახორციელებენ შენატანებს/ანარიცხებს ამ ფონდებში. ეს ქვესექტორი არ მოიცავს საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამებს, რომლებიც გათვალისწინებულია კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების მუშაკათათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ცალკე ორგანიზებული ფონდი და არ მოიცავს ისეთ პროგრამებს, რომლებიც ორგანიზებულია არასამთავრობო დამქირავებლების მიერ და რომელთა რეზერვები უბრალოდ ჩართულია თვით დამქირავებლის სარეზერვო სახსრებში ან ინვესტირებულია ამ დამქირავებლების მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში.

5.7.40. **სხვა ფინანსური შუამავლების ქვესექტორი (S12320)** მოიცავს სხვადასხვა ერთეულების ჯგუფს, სადაც შედის ყველა ფინანსური დაწესებულება, დეპოზიტური დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიების, საპენსიო ფონდებისა და დამხმარე ფინანსური ერთეულების გარდა. სხვა ფინანსური შუამავლების ქვესექტორში შემავალი ერთეულები, როგორც წესი, სახსრების მობილიზებას ახდენენ გრძელვადიანი ან სპეციალიზირებული სახის დეპოზიტების მიღების და ფასიანი ქაღალდებისა და კაპიტალში მონაწილეობის ინსტრუმენტების გამოშვების გზით. ეს შუამავლები ხშირად სპეციალდებიან კონკრეტული კატეგორიის მსესხებლების დაკრედიტებაზე და ისეთი სპეციალური ფინანსური მექანიზმების გამოყენებაზე, როგორებიცაა ფინანსური ლიზინგი, ფასიანი ქაღალდების სესხად გაცემა და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები.

5.7.41. ფინანსური შუამავლების ქვესექტორში შემავალი ერთეულების მაგალითებია:

5.7.41.1. ფინანსური კომპანიები, რომლებიც წარმოადგენენ ინსტიტუციურ ერთეულებს, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სამეწარმეო სექტორის სანარმოებისა და შინამეურნეობებისათვის კრედიტების მიცემა. ბევრი ფინანსური კომპანია წარმოადგენს დაქვემდებარებულ შვილობილ ფირმას, რომელიც ახდენს ფინანსური სახსრების მობილიზებას სათაო კომპანიის მიერ გამოსაყენებლად. ასეთი ფირმები, წარმოადგენენ რა განცალკევებულ ინსტიტუციურ ერთეულებს, რომლებიც არ ახდენენ ფართო ფულის შემადგენლობაში შემავალი ვალდებულებების ემისიას, კლასიფიცირდებიან, როგორც ფინანსური შუამავლები. ფინანსური კომპანიები, რომლებიც არ არიან დამოუკიდებელი, განიხილება, როგორც სათაო კომპანიის ნაწილი, შესაბამისი ქვესექტორის შემადგენლობაში.

5.7.41.2. ფინანსური ლიზინგური კომპანიები ემსახურებიან მატერიალური აქტივების შეძენას. ლიზინგური კომპანიები წარმოადგენენ ამგვარი წესით შეძენილი საქონლის იურიდიულ მფლობელებს, თუმცა სინამდვილეში საკუთრების უფლების გადაცემა ხდება არენდატორზე, რომელიც იღებს ყველანაირ სარგებელს, რაც დაკავშირებულია გადაცემულ აქტივებზე საკუთრების უფლებასთან, ასევე თავის თავზე იღებს ამ უკანასკნელთან დაკავშირებულ ყოველგვარ ხარჯსა და რისკს.

5.7.41.3. საინვესტიციო ფონდები (გაერთიანებები) წარმოადგენენ ინსტიტუციურ ერთეულებს ფინანსური ორგანიზაციების სახით, საპენსიო ფონდების გარდა, რომლებიც თავს უყრიან ინვესტორთა სახსრებს, ფინანსური აქტივების შეძენის მიზნით. საინვესტიციო ფონდების მაგალითია ერთობლივი ფონდები, საინვესტიციო კონცერნები, საპაიო საინვესტიციო ფონდები და სხვა კოლექტიური ინვესტიციური ფონდები. ინვესტორები, როგორც წესი, იძენენ აქციებს, რომლებსაც ფიქსირებული წილი აქვთ ფონდში. საინვესტიციო ფონდების ლიკვიდურობა შესაძლოა იყოს საკმაოდ განსხვავებული. ზოგიერთ ქვეყანაში საინვესტიციო ფონდები არალიკვიდურია ან შეზღუდული ლიკვიდურობა გააჩნიათ. სხვა ქვეყნებში საინვესტიციო ფონდების მიერ გამოშვებული აქციები ისეთივე (ან თითქმის ისეთივე) ლიკვიდურობით ხასიათდებიან, როგორითაც დეპოზიტური დანესებულებების დეპოზიტები და მათ მიერ ემიტირებული სხვა ვალდებულებები. თუ ლიკვიდური საინვესტიციო ფონდების ვალდებულებები შედის ფართო ფულის შემადგენლობაში, ასეთი ინვესტიციური ფონდები კლასიფიცირებულ უნდა იქნენ, როგორც სხვა დეპოზიტური დანესებულებები.

5.7.41.4. ფასიანი ქაღალდების გარანტიით განმთავსებლები (ანდერრაიტერები) და დილერები აერთიანებენ ფიზიკურ პირებსა და ფირმებს, რომლებიც სპეციალიზებული არიან ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ოპერაციების წარმოებაზე: 1) დახმარების განწვევის გზით იმ ფირმებისათვის, რომლებიც უშვებენ ფასიან ქაღალდებს, ანდერრაიტინგისა და ახალი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე განთავსების მეშვეობით და 2) ახალი ან დაუფარავი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების გზით, საკუთარი ხარჯით. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ანდერრაიტერები და დილერები, რომლებიც გამოდიან ფინანსური შუამავლების როლში. ფასიანი ქაღალდების ბროკერები და სხვა ინსტიტუციური ერთეულები, რომლებიც ორგანიზებას უწევენ ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს ფასიანი ქაღალდების გამყიდველებსა და მყიდველებს შორის, მაგრამ არ ყიდულობენ ფასიან ქაღალდებს და არ ინახავენ მათ საკუთარ ხარჯზე, კლასიფიცირდებიან, როგორც დამხმარე ფინანსური ერთეულები.

5.7.41.5. სპეციალიზებული კომპანიები (Vehicle Companies) წარმოადგენენ ფინანსურ სტრუქტურებს, რომლებიც შექმნილია სეკიურიტიზებული ან ისეთი აქტივების ფლობის მიზნით, რომლებიც გადაცემულია კორპორაციების ან სახელმწიფო საწარმოების ბალანსებიდან, მათი რესტრუქტურის ფარგლებში.

5.7.41.6. წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე სპეციალიზებული შუამავლები მოიცავენ ინსტიტუციურ ერთეულებს, რომლებიც უმთავრესად დაკავებული არიან ისეთი წარმოებულების გამოშვებით, რომლებიც მიჩნეულია ფინანსურ აქტივებად.

5.7.41.7. სპეციალიზებული ფინანსური შუამავლები მოიცავს ჰოლდინგურ კორპორაციებს, ფირმებს, რომლებიც აფინანსებენ ექსპორტ/იმპორტს.

5.7.42. **დამხმარე ფინანსური ერთეულების ქვესექტორი (S12330)** მოიცავს ფინანსურ დანესებულებებს, რომელთა საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ფინანსურ შუამავლობასთან, თუმცა ისინი შუამავლის სტატუსით არ საქმიანობენ. ასეთ ერთეულებს მიეკუთვნებიან:

5.7.42.1. ფასიანი ქაღალდების საჯარო ბირჟები და ბაზრები, რომლებიც წარმოადგენენ ორგანიზებულ სტრუქტურებს, ისეთებს, როგორებიცაა ფასიანი ქაღალდების კომპანია-დეპოზიტარები, სააღრიცხვო და კლირინგული ორგანოები, ასევე სხვა კომპანიები, რომლებიც დაკავებულნი არიან ბირჟის საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურებით.

5.7.42.2. ბროკერები და აგენტები, რომლებიც წარმოადგენილნი არიან ფიზიკური პირების ან ფირმების სახით და რომლებიც ორგანიზებას უწევენ, ასრულებენ ან სხვა გზით უზრუნველყოფენ კლიენტების ოპერაციებს ფინანსური აქტივებით. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ბროკერები და აგენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფასიანი ქაღალდების ან სხვა ფინანსური კონტრაქტების ყიდვა-გაყიდვას კლიენტებისათვის, ასევე საფინანსო-საკონსულტაციო სამსახურები, რომლებიც სპეციალიზებულ მომსახურებას უწევენ ბროკერებსა და მათ კლიენტებს. გამომდინარე იქიდან, რომ ზოგიერთი საბროკერო ფირმა ასევე დაკავებულია ფინანსური ფასიანი ქაღალდების ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვით თავისი ანგარიშით, შესაძლოა გაძნელდეს ბროკერებისა და აგენტების ანდერრაიტერებისა და დილერებისაგან გარჩევა. ასეთ შემთხვევაში. მოცემულ ჯგუფში ჩაირთვება მხოლოდ ის ბროკერები და აგენტები, რომლებიც ცალსახად არიან სპეციალიზებული საბროკერო და მასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე და არა საშუაშალო საქმიანობაზე, რაც არის ანდერრაიტერებისა და დილერების პრეროგატივა.

5.7.42.3. კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ ვალუტის გაცვლას, მათ შორის რომლებიც ყიდულობენ ან ყიდიან უცხოურ ვალუტას საცალო ან საბითუმო ბაზარზე.

5.7.42.4. ფინანსური გარანტიების გამცემი კორპორაციები, სადაზღვევო და საპენსიო დამხმარე (დაზღვევის შემფასებლები და სამაშველო სამუშაოების ადმინისტრატორები) ერთეულები და სხვა დამხმარე ფინანსური ერთეულები, რომლებიც არ შედიან სხვა კატეგორიებში (მაგალითად, ამ კატეგორიაში მოხვდება ლომბარდები - S12333).

5.7.43. **სამთავრობო სექტორი (S13000)** წარმოადგენს იმ ეკონომიკური ერთეულების ერთობლიობას, რომლებიც დაკავებულნი არიან სამთავრობო მომსახურებით ინდივიდუალური და კოლექტიური მოხმარებისათვის, აქვთ პოლიტიკური პასუხისმგებლობები, ეწევიან შემოსავლებისა და დოვლათის გადანაწილებას.

5.7.44. **შინამეურნეობების სექტორი (S14000)** წარმოადგენს ფიზიკურ პირს ან ფიზიკურ პირთა ჯგუფს. შინამეურნეობის სექტორი იყოფა საკუთრივ ფიზიკურ პირებად (S14100) და ინდივიდუალურ მეწარმე ფიზიკურ პირებად (S14200).

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ინდემწარმე არის ფიზიკური პირი და ასევე უნდა აისახოს სტატისტიკურ ანგარიშგებაში.


„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (მუხლი 1 და 2), **მეწარმე სუბიექტები** არიან:

- Ⓜ ინდივიდუალური მეწარმე,
- Ⓜ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს),
- Ⓜ კომანდიტური საზოგადოება (კს),
- Ⓜ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს),
- Ⓜ სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია)
- Ⓜ კოოპერატივი.

მეწარმე სუბიექტები იყოფიან იურიდიულ და ინდემწარმე ფიზიკურ პირებად (იხ.სქემა 5.4).

- 5.7.45. **იურიდიული პირის** სტატუსის მქონე საწარმოები (კომპანიები) არიან: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.
- 5.7.46. ინდივიდუალური მენარმე არ არის იურიდიული პირი. ინდივიდუალური მენარმე, როგორც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ინდივიდუალური მენარმე საქმიან ურთიერთობებში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც **ფიზიკური პირი**.

სქემა 5.4. მენარმე სუბიექტების კლასიფიკაცია



- 5.7.47. **შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი (შიმკაო; S15000)** აერთიანებს ისეთ ორგანიზაციებს, რომელთა პრინციპული ფუნქციაა არასაბაზრო მომსახურების გაწევა შინამეურნეობებისათვის, ან საზოგადოებისათვის მთლიანად. ასეთი ორგანიზაციებია: პარტიები, რელიგიური დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები და გაერთიანებები და ა.შ.
- 5.7.48. **ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორი (CodeList CL_Nac)** ახდენს ფინანსური ინსტიტუტის (რესპონდენტის) კლიენტის (კონტრაგენტის) იდენტიფიცირებას ეკონომიკური საქმიანობის სახის მიხედვით. ეს კლასიფიკატორი შეესაბამება „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორს (სევ 006-2016), რომელიც ეფუძნება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების ევროპულ კლასიფიკატორს (NACE Rev. 2 Statistical Classification of Economic Activities in the European Community).
- 5.7.49. ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი სევ 006-2016 წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების ეროვნული სისტემის შემადგენელ ნაწილს, რომელიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის N 10 დადგენილებით, მოქმედებაშია 2016 წლის 1 აგვისტოდან და სავალდებულოა გამოსაყენებლად საქართველოში მოქმედი ყველა იურიდიული

პირის მიერ (http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/klasifikacia/NACE%20Rev%202_Georgian_2016.pdf).

კლასიფიკაციის თბიქტებს (საკლასიფიკაციო სიმრავლის ელემენტს) სეკ 006-2016 - ში წარმოადგენენ ეკონომიკური საქმიანობის სახეები, რომლითაც ხასიათდება როგორც ერთპროფილიანი, ასევე მრავალპროფილიანი მეურნე სუბიექტები.

საქმიანობის სახე განისაზღვრება როგორც პროცესი, რომელიც მიმართულია იმ ერთგვაროვანი პროდუქციის (საქონელი, მომსახურება) მისაღებად, რომელიც ახასიათებს ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის მეტად დაწვრილმანებულ კატეგორიებს.

პირადი დამხმარე მეურნეობისა და საიჯარო მეურნეობების ეკონომიკური საქმიანობა შედის საქმიანობის სახეების შესაბამის კატეგორიებში.

სეკ 006-2016-ში გათვალისწინებულია განსხვავება ძირითად, მეორეხარისხოვან და დამხმარე საქმიანობებს შორის.

5.7.50. **ძირითად საქმიანობას** წარმოადგენს ისეთი საქმიანობა, რომელსაც შეაქვს უდიდესი წვლილი მეურნე სუბიექტის მიერ შექმნილ დამატებულ ღირებულებაში.

5.7.50¹ **მეორეხარისხოვანი საქმიანობა** - ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს პროდუქციის (საქონელი, მომსახურება) წარმოებას.

5.7.51. **დამხმარე საქმიანობა** - საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ძირითადი საქმიანობის სახის უზრუნველსაყოფად შუალედური საქონლის ან მომსახურების მიწოდებით, მხოლოდ მოცემული ერთეულის მიერ გამოსაყენებლად.

5.7.52. **რეგიონების კლასიფიკატორი (CodeList CL_Reg)** ახდენს ფინანსური ინსტიტუტის (რესპონდენტის) მიერ განხორციელებული ოპერაციების იდენტიფიცირებას გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით. კერძოდ, რეზიდენტებთან განხორციელებული ოპერაციების იდენტიფიცირებას ქვეყნის შიგნით არსებული რეგიონების/ქალაქების (ბანკის ფილიალების ადგილმდებარეობის) მიხედვით და არარეზიდენტებთან განხორციელებული ოპერაციების იდენტიფიცირებას საზღვარგარეთის მიხედვით.

 5.7.53. **გაცემული სესხების (განთავსებული დეპოზიტების) რეგიონების მიხედვით კლასიფიკაცია** ხდება ფინანსური ინსტიტუტის იმ ფილიალის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, რომელმაც გასცა სესხი (სადაც განთავსდა დეპოზიტი). ასეთი მიდგომა, არსებული რეალობიდან გამომდინარე, როგორც გამონაკლისი, დასაშვებია სტატისტიკური აღრიცხვის გამარტივების მიზნით.

ამასთან, ყურადღებასაქცევია ის გარემოება, რომ საქართველოს შიგნით რეგიონების მიხედვით სესხებისა და ვადიანი დეპოზიტების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს როგორც რეზიდენტების, ისე არარეზიდენტების შემთხვევაში.

5.7.54. **FIM მონაცემთა ოჯახის შემთხვევაში სხვა ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტების საქართველოს შიგნით რეგიონების მიხედვით იდენტიფიცირებას სებასტატი არ გულისხმობს** (იხ. ცხრილი 5.13; „+“ ნიშნავს, რომ შესაბამისი რეგიონის მიხედვით მოცემული ფინანსური ინსტრუმენტის იდენტიფიცირება ხდება, „-“ ნიშანი მიუთითებს, რომ პირიქით, არ ხდება:

ინსტრუმენტები	რეზიდენტები													
	R00	R01	R02	R03	R04	R05	R06	R07	R08	R09	R10	R11	R12	R13
დეპოზიტები	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	-
მ.შ. ვადიანი დეპოზიტები	-	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	-
სესხები	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	-
დანარჩენი ინსტრუმენტები	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ინსტრუმენტები	არარეზიდენტები													
	R00	R01	R02	R03	R04	R05	R06	R07	R08	R09	R10	R11	R12	R13
დეპოზიტები	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
მ.შ. ვადიანი დეპოზიტები	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
სესხები	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
დანარჩენი ინსტრუმენტები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	+

5.7.55. თუ ბანკს გააჩნია ფილიალი საზღვარგარეთ, ასეთი ფილიალი მოცემული ქვეყნისათვის (საქართველოსათვის) წარმოადგენს არარეზიდენტს და შესაბამისად ამ ფილიალის მიერ განხორციელებული ოპერაციები არ უნდა მოხდეს ანგარიშგებაში. რესპონდენტ ბანკსა და მის ფილიალს შორის ოპერაციები განიხილება, როგორც რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის განხორციელებული ოპერაციები. შესაბამისად, თუ რეზიდენტი კომერციული ბანკის საზღვარგარეთის ფილიალში:

(1) სესხი აიღო (ან დეპოზიტი განათავსა) არარეზიდენტმა, ეს ოპერაცია განიხილება, როგორც არარეზიდენტებს შორის განხორციელებული ოპერაცია და არ მოხდება ანგარიშგებაში;

(2) სესხი აიღო (ან დეპოზიტი განათავსა) რეზიდენტმა – ეს ოპერაციაც არ მოხდება ანგარიშგებაში, რამდენადაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს ოპერაცია განიხილება, როგორც რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის განხორციელებული ოპერაცია, სეესტატის ფარგლებში ანგარიშგებას ექვემდებარება კომერციული ბანკი (და არა მისი კლიენტი), რომელიც ამ შემთხვევაში არის არარეზიდენტი და არ მონაწილეობს სეესტატის სქემაში.

5.7.56. **სესხებზე დამატებითი ინფორმაციის კლასიფიკატორი (CodeList CL_Lop)** ახდენს ფინანსური ინსტიტუტის მიერ გაცემული/მიღებული სესხების დეტალიზაციას სხვადასხვა ნიშნების მიხედვით. კერძოდ, იგი ახდენს სესხების დეტალიზაციას სასესხო პროდუქტების (ანუ - მიზნობრიობის), ასევე სესხების კლასიფიკაციას კატეგორიების და სხვა ნიშნების მიხედვით.

სესხებზე დამატებითი ინფორმაციის კლასიფიკატორი ეფუძნება „სასესხო პროდუქტების მიდგომას“. კლასიფიკატორის **სტრუქტურის პირველი დონეა** სასესხო პროდუქტები.

სეესტატში სასესხო პროდუქტები წარმოდგენილია 11 ტიპის პროდუქტის სახით:

- სამომხმარებლო სესხი;
- უძრავი ქონების შესაძენად და რემონტისათვის გაცემული სესხი;
- ბიზნეს-სესხი;
- მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხი;
- ავტო სესხი;
- სალომბარდე სესხი;

- რეპო;
- ოვერდრაფტი;
- საკრედიტო ბარათით გაცემული სესხი;
- განვადება;
- სხვა სესხი.

სესხების ჩანაწილების **მეორე დონეა** საპროცენტო სარგებლის სტატუსი - ფიქსირებულპროცენტიანი/ცვალებადპროცენტიანი.

მესამე დონეზე ხდება სესხების ჩანაწილება რესტრუქტურიზაციის სტატუსის მიხედვით - რესტრუქტურიზებული/არარესტრუქტურიზებული.

მეოთხე დონე: სესხის კატეგორია. „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანების შესაბამისად სესხები კლასიფიცირდება შემდეგი 5 კატეგორიის მიხედვით:

- Ⓜ სტანდარტული;
- Ⓜ საყურადღებო;
- Ⓜ არასტანდარტული;
- Ⓜ საეჭვო;
- Ⓜ უიმედო.

მეხუთე დონე: ვადიანობის სტატუსი. მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის, აგრეთვე ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების წარმოებისა და საზედამხედველო მიზნებისათვის სეხსტატში, ვადაგადაცილებული სესხები კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

- ვადაგადაცილებული 1-დან 30 დღის ჩათვლით;
- ვადაგადაცილებული 31-დან 90 დღის ჩათვლით;
- ვადაგადაცილებული 91 და მეტი დღით.

5.7.56.1. სესხებზე დამატებითი ინფორმაციის კლასიფიკატორი ემსახურება იმის იდენტიფიცირებას, სესხის გაცემა ხდება ამა თუ იმ სფეროს, სექტორის, ან დარგის **განვითარების და-საფინანსებლად, კონკრეტული ტიპის საქონლის შესაძენად**, თუ ხდება **სპეციფიკური ტიპის სესხის** გაცემა. კერძოდ, სეხსტატის კონცეფციით:

- Ⓜ ბიზნეს-სესხი და მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხი მიეკუთვნება სესხის იმ კატეგორიას, რომლის დანიშნულებაცაა ბიზნესის, და მათ შორის მცირე და საშუალო **ბიზნესის განვითარება**;
- Ⓜ სამომხმარებლო სესხი, უძრავი ქონების შესაძენად და რემონტისათვის გაცემული სესხი და ავტო-სესხი მიეკუთვნება **კონკრეტული ტიპის საქონლის (საქონელთა ჯგუფის) შესაძენად გაცემული სესხის** კატეგორიას;
- Ⓜ სალომბარდე სესხი, განვადება, ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათით გაცემული და რეპო-ოპერაციების გზით განხორციელებული სესხები მიეკუთვნება **სპეციფიკური სესხის** კატეგორიას;
- Ⓜ სესხები, რომლებიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში, აღირიცხება „**სხვა სესხის**“ კატეგორიაში.

5.7.56.2. **სამომხმარებლო სესხი** – ფიზიკურ პირზე/შინამეურნეობაზე გაცემული სესხი, ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების შესაძენად (საქონლისა და მომსახურების განვადებით შეძენის გარეშე; გამოიყოფა ცალკე სასესხო პროდუქტად), რომლის დაბრუნებაც, როგორც წესი, ხდება ნაწილ-ნაწილ, გრაფიკის მიხედვით; მოიცავს აგრეთვე სესხებს, გაცემულს სამედიცინო ხარჯებთან, დასვენებასთან და სხვა პერსონალურ ხარჯებთან დაკავშირებით, ასევე სტუდენტურ სესხებს. **არ მოიცავს სესხებს, გაცემულს:** უძრავი ქონების შეძენასთან და რემონტთან დაკავშირებით, ავტომობილის შესაძენად, ბიზნესისა და პროფესიული საქმიანობის დასაფინანსებლად, ბიზნესთან დაკავშირებული მოწყობილობისა და აღჭურვილობის შესაძენად, ასევე თანამშრომელთა არასამომხმარებლო სესხებს, დეპოზიტით უზრუნველყოფილ სესხებს (თუ ვერ ხდება იდენტიფიცირება, რომ ის გაიცემა სამომხმარებლო მიზნებისათვის), ოვერდრაფტებს, საკრედიტო ბარათებით და განვადებით გაცემულ სესხებს (კლასიფიცირებულია ცალკე); სამომხმარებლო სესხებში არ ჩაირთვება ისეთი სესხები, რომელთა მიკუთვნებაც ამ კატეგორიაზე ცალსახად შეუძლებელია და/ან არ არის განსაზღვრული ასეთად შესაბამის ხელშეკრულებაში.

ჩანართი 5.3: უძრავი ქონების გირაოს ქვეშ გაცემული სამომხმარებლო სესხის იდენტიფიცირება

თუ სამომხმარებლო სესხი გაცემულია უძრავი ქონების გირაოს ქვეშ, მაშინ ასეთი სესხი (ინსტრუმენტის კოდი: F04000) ანგარიშგებაში უნდა აისახოს როგორც სამომხმარებლო (დამატებითი ინფორმაციის კოდი: 0100000), რომელიც უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით (შესაბამისი კოდი CL_Loc კლასიფიკატორიდან). ანუ დამუშავებისას ასეთი სესხი მოხვდება როგორც სამომხმარებლო სესხის, ისე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის კატეგორიაში.

5.7.56.3. **უძრავი ქონების შესაძენად და რემონტისათვის გაცემული სესხი** – სესხი, რომელიც გაცემულია ეკონომიკურ ერთეულებზე უძრავი ქონების (მათ შორის შინამეურნეობისათვის განკუთვნილი მიწის) შესაძენად ან რემონტისათვის (pp.:4.88, 6.58. 6.61²).

5.7.56.4. **ბიზნეს-სესხი**, გარდა მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხისა – სესხი, რომელიც გაიცემა იმ ბიზნესისა და პროფესიული საქმიანობის დასაფინანსებლად, აგრეთვე იმ ბიზნესთან დაკავშირებული მოწყობილობისა და აღჭურვილობის შესაძენად, რომელიც არ მიეკუთვნება მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიის სანარმოებზე გაცემულ სესხს. ანუ ეს არის მსხვილ სანარმოებზე გაცემული სესხი, სადაც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს, ან საშუალოწლიური ბრუნვის მოცულობა – 60 მლნ ლარს³.



შენიშვნა: ბიზნეს-ბარათით ათვისებული თანხა, უმეტეს შემთხვევაში, არ წარმოადგენს ბიზნეს-სესხს. ასეთი ოპერაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სასესხო პროდუქტის სწორი იდენტიფიცირება და ოპერაციის თანხის შესაბამისად ასახვა. თუ სასესხო პროდუქტის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, თანხა უნდა გატარდეს „სხვა სესხების“ კატეგორიაში (0800000).

5.7.56.5. **მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხი** – სესხი, რომელიც გაიცემა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის.

- მცირე ბიზნესს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარს.
- საშუალო ბიზნესს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე.

ცხრილი 5.14. საწარმოთა სიდიდის მიხედვით კლასიფიკაციის კრიტერიუმები⁴

საწარმოთა კატეგორია	დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა, კაცი	საშუალოწლიური ბრუნვა, მლნ ლარი
მსხვილი	> 249	> 60
საშუალო	49-250	12-60
მცირე	< 50	≤ 12

5.7.56.6. **ავტო-სესხი** – სესხი, გაცემული ავტომობილის შესაძენად და გასარემონტებლად, ავტოგანვადების ჩათვლით.

5.7.56.7. **სალომბარდე სესხი** – ადვილად რეალიზებადი მოძრავი ქონების გირაოს ქვეშ გაცემული სესხი.

5.7.56.8. **რეპო** – რეპოპერაციებით ბანკებისათვის მიცემული სახსრები.

5.7.56.9. **ვადაგადაცილებული სესხი** – სესხი, რომლის მიხედვითაც დავალიანება (ძირითადი თანხა, მისი ნაწილი და/ან პროცენტი) დაფარული არ არის საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში (იხ. „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“, დამტკიცებული სებ-ის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს N117/04 ბრძანებით).

5.7.56.10. **ვადაგადაცილებული სესხი, აქტივების ხარისხის შეფასებისათვის** – სესხი, რომლის ძირითადი თანხის (მისი ნაწილის) ან პროცენტის განვადებით გათვალისწინებული თანხის გადახდა არ მომხდარა 30-ზე მეტი კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმებული თარიღის შემდეგ, რომელიც მოცემულია სესხთან დაკავშირებულ შესაბამის დოკუმენტაციაში.

5.7.56.11. **სტანდარტული სესხი** – სესხი კლასიფიცირდება „სტანდარტულად“, თუ მისი ძირითადი თანხის და პროცენტის მუდმივად გადახდა დროულად წარმოებს, ამასთან, მსესხებლის კაპიტალი და გადახდის უნარი სტაბილურია. ასევე, მსესხებელი ფინანსურად ძლიერია, გააჩნია საშუალო სიმძიმის სტრესის შედეგების უმტკივნეულოდ შთანთქმის უნარი, აქვს საკმარისი კაპიტალი, რათა შეამციროს უარყოფითი ზეგავლენა მოულოდნელი მოვლენებისაგან, ასრულებს მომგებიანობასთან დაკავშირებულ თავის მიზნებს და აქვს საკმარისი ლიკვიდობა, რათა დროულად დააკმაყოფილოს ყველა ვალდებულება, მათ შორის აღნიშნული აქტივიც (იხ. „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“, დამტკიცებული სებ-ის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს N117/04 ბრძანებით).

4 სახელმძღვანელოს წინა გამოცემაში მოტანილი იყო საწარმოთა სიდიდის მიხედვით კლასიფიკაციის კრიტერიუმები, რომლებიც მოქმედებდა 2017 წლამდე.

5.7.56.12. საყურადღებო სესხი. სესხი კლასიფიცირდება „საყურადღებოდ“, თუ:

ა) იგი ადევკვატურად არის დაცული, მაგრამ პოტენციურად სუსტია. მიუხედავად იმისა, რომ სესხის გაცემის დროს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და გადახდის უნარი სტაბილური ჩანდა, შემდეგში გამოჩნდა კონკრეტული ნაკლოვანებები და ტენდენციები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ გამოსწორდება, შესაძლოა გაჩნდეს ეჭვი მსესხებლის მიმართ, გააგრძელოს სესხის დროული დაფარვა. ასეთი სესხი ქმნის გაუმართლებელ საკრედიტო რისკს, მაგრამ არა ისეთს, რომ მიენიჭოს კლასიფიკაცია „არასტანდარტული“, იმიტომ, რომ საკრედიტო რისკი მოცემულ მომენტში მცირეა. ასეთი ნაკლოვანებების მაგალითებია ისეთი სიტუაციები, როდესაც საკრედიტო დოკუმენტაცია (ან მათი ნაწილი) დაკარგულია, არასრული ან მოძველებულია; როდესაც ბანკს არ ძალუძს აქტივების შესაბამისად მართვა ან მსესხებელთან სათანადო ურთიერთობა, ან როდესაც მთლიანად უზრუნველყოფილი სესხის შემთხვევაში, გირავნობა ან იპოთეკა სამართლებრივად არ არის სწორად გაფორმებული, გადაცემული ან რეგისტრირებული, ან/და როდესაც არსებობს ინფორმაცია გირავნობის ან იპოთეკის საეჭვო მდგომარეობასთან ან მის მონიტორინგთან და კონტროლთან დაკავშირებით;

ბ) კომერციული ბანკის განმეორებითი მოთხოვნის მიუხედავად მსესხებელმა ვერ მოახერხა ფინანსური ანგარიშგებების მიწოდება, მათ შორის საბალნსო უწყისის, მოგება-ზარალის უწყისის, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისის და სამუშაო ან ბიზნეს-გეგმის, რაზეც არსებობდა შეთანხმება;

გ) მოსალოდნელია ისეთი მოვლენები მსესხებლის საქმიანობაში ან წარმოებაში, ან ისეთი მიმართულებები ბაზარზე, რომელთა გამოც შესაძლოა, რომ მსესხებლის მომავალი მოგება ან ბიზნესი გახდეს არასტაბილური, ან/და აღმოჩნდეს მნიშვნელოვნად გაუარესებული;

დ) გირავნობასთან ან იპოთეკასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ არის სწორად გაფორმებული, ან როდესაც გირავნობა ან იპოთეკა არ არის სწორად რეგისტრირებული, და ამ ორიდან რომელიმე სიტუაციას თან ერთვის გადახდის პირველადი წყაროს საშუალებით ამ ვალის სათანადო დაფარვის დაქვეითებული უნარი;

ე) სესხის ვადაგადაცილებული პროცენტი დაუფარავია და დამატებულია ძირითად თანხაზე;

ვ) ნებისმიერი შეთანხმებული გადახდა ვადაგადაცილებულია 60 დღეზე ნაკლები პერიოდით. თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.

(დეტალურად იხ. „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“, დამტკიცებული სებ-ის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს N117/04 ბრძანებით).

5.7.56.13. არასტანდარტული სესხი. სესხი კლასიფიცირდება „არასტანდარტულად“, თუ:

ა) იგი არაადევკვატურად არის დაცული მსესხებლის კაპიტალითა და გადახდის უნარით, ან/და გირავნობის ან იპოთეკის ღირებულებით. არასტანდარტულად კლასიფიცირებულ სესხს გააჩნია ისეთი სისუსტეები ან პრობლემები, რომლებიც საფრთხეს უქმნის დავალიანების დაფარვას ან საეჭვოს ხდის მთლიან გადახდას;

ბ) სესხის გადახდის ძირითადი წყაროები, მათ შორის კაპიტალი და მოგება, არ არის საკმარისი ვალის გადასახდელად. შესაბამისად, კომერციულმა ბანკმა უნდა გამოიყენოს გადახდის სხვა წყაროები, როგორიცაა გირავნობის ან იპოთეკის რეალიზაცია, მსესხებლის სხვა აქტივების გაყიდვა ან მსესხებლის სხვა ვალ(ებ)ის რესტრუქტურირება. ამასთან, არსებობს სხვა ისეთი

მნიშვნელოვნად უარყოფითი პირობები, როგორიცაა: ღირებულების მქონე და რეალიზებადი გირავნობის ან იპოთეკის არარსებობა, მსესხებლის აუხსნელი და ხანგრძლივი არყოფნა, ან საკუთარი ბიზნესისადმი უყურადღებობა.

გ) საბლანკო ან ნაწილობრივ უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 60 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს არასტანდარტული სესხის კლასიფიკაცია, თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ასეთი კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი;

დ) მთლიანად უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 90 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს არასტანდარტული სესხის კლასიფიკაცია, თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.

(დეტალურად იხ. „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“, დამტკიცებული სებ-ის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს N117/04 ბრძანებით).

5.7.56.14. საეჭვო სესხი. ა) სესხი კლასიფიცირდება „საეჭვოდ“:

ა) თუ მას აქვს არასტანდარტულად კლასიფიცირებული სესხის მახასიათებლები, მაგრამ არსებულ პირობებში მისი გადახდა საეჭვოა ერთ-ერთი ისეთი სისუსტის გამო, როგორიცაა: გარკვეული და მნიშვნელოვანი ფაქტორის არსებობა, რომლიდან გამომდინარეც მოსალოდნელია ნაწილობრივი გადახდა უახლოეს პერიოდში და ამიტომ „უიმედო“ კლასიფიკაციის მინიჭება მოცემულ მომენტში საჭირო არ არის, სანამ ფაქტები უფრო არ გაირკვევა. „გარკვეული და მნიშვნელოვანი“ ფაქტორები მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სესხის მიმდინარე ნაწილობრივი გადახდა ან გირავნობის (იპოთეკის) დასაკუთრებისა და გაყიდვის პროცედურების დაწყება და განხორციელება უახლოეს მომავალში, ასევე დამატებითი გირავნობის ან იპოთეკის ჩადების შესაძლებლობა, რითაც სესხი მთლიანად უზრუნველყოფილი გახდება.

ბ) საბლანკო ან ნაწილობრივ უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 120 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს საეჭვო სესხის კლასიფიკაცია, თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.

გ) მთლიანად უზრუნველყოფილ სესხს, როდესაც მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია სულ ცოტა 150 ან მეტი დღით, უნდა მიეცეს საეჭვო სესხის კლასიფიკაცია, თუმცა ასეთი ვადაგადაცილება არ არის ამ კლასიფიკაციის ერთადერთი ან ძირითადი მიზეზი.

(დეტალურად იხ. „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“, დამტკიცებული სებ-ის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს N117/04 ბრძანებით).

5.7.56.15. უიმედო სესხი. სესხი კლასიფიცირდება „უიმედოდ“, თუ:

ა) მსესხებლის გადახდისუნარიანობის გამო შეუძლებელია მისი ამოღება ან ამოღებადი თანხა იმდენად მცირეა, რომ იგი ბანკის ბალანსზე არ უნდა დარჩეს;

ბ) გირავნობის ან იპოთეკის მიუხედავად, მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა ვადაგადაცილებულია 180 ან მეტი დღით;

გ) 180-ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილების მიუხედავად, მსესხებლის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სესხის ამოღება მთლიანად შეუძლებელია ან ამოსაღებად მოსალოდნელი თანხები არ შეესაბამება ამოღებისათვის დახარჯულ დროსა და ხარჯებს.

(დეტალურად იხ. „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“, დამტკიცებული სებ-ის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს N117/04 ბრძანებით).

სესხების ბოლო სამი კატეგორია (არასტანდარტული, საეჭვო და უიმედო სესხები) ერთიანდება **უმოქმედო სესხების (Nonperforming loans; NPL)** კატეგორიაში (იხ.: CL_Ins, F08527).

5.7.57. „სესხებზე დამატებითი ინფორმაციის კლასიფიკატორი“ ითვალისწინებს სესხის თითოეული კატეგორიიდან **ფიქსირებულ-პროცენტიანი და ცვალებად-პროცენტიანი სესხების** გამოიჯნას.

ცვალებადპროცენტიანი სესხი გულისხმობს სესხის ფიქსირებული პროცენტის მიზმას სხვა განაკვეთთან (მაგალითად, ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთთან), რომელიც პერიოდულად შესაძლოა იცვლებოდეს.

5.7.58. „სესხებზე დამატებითი ინფორმაციის კლასიფიკატორი“ ითვალისწინებს აგრეთვე **არარესტრუქტურიზებული და რესტრუქტურიზებული სესხების** გამოიჯნას.

5.7.59. რესტრუქტურიზებული სესხი გულისხმობს სესხს, რომლის დაფარვის პირობების შეცვლაზე, მსესხებლის ფინანსური სიძნელეების გამო, არსებობს შეთანხმება ბანკსა და მსესხებელს შორის (იხ. „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“, დამტკიცებული სებ-ის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს N117/04 ბრძანებით).

5.7.60. რესტრუქტურიზებულ სესხებს მიეკუთვნება ყველა ის სესხი, რომლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შეცვლილია ერთ-ერთი შემდეგი ქვეპუნქტის მიხედვით:

ა) საპროცენტო განაკვეთის შემცირება ან დარიცხული პროცენტის მიღების უფლებაზე უარის თქმა;

ბ) დარიცხული საპროცენტო შემოსავლების კაპიტალიზაცია


გ) ძირითადი თანხის ან პროცენტის შემცირება (მათ შორის რეფინანსირება), რაც არ არის მსესხებლის მიერ გადახდის შედეგი; მათ შორის ისეთი შემთხვევები, როდესაც მსესხებელმა დაფარა პროცენტები ან ძირითადი თანხა თავისი, სხვა ან ურთიერთდაკავშირებული ჯგუფის სხვა წევრების მიერ აღებული სესხებით;

დ) სესხის დაფარვის ვადის გაგრძელება;

ე) სესხზე საშეღავათო პერიოდის დაწესება (გარდა სეზონური ტიპის ბიზნესის შემთხვევაში);

ვ) ბანკის მიერ მსესხებლისათვის მინიჭებული ნებისმიერი სხვა უფლება ან პრივილეგია, რაც ნორმალურ პირობებში არ მოხდებოდა.

5.7.60.1. ამდენად, CL_Lop კლასიფიკატორში კოდის თანრიგების დანიშნულება შემდეგია:



ანუ თანრიგი 1-2 აღნიშნავს სასესხო პროდუქტს (სამომხმარებლო, უძრავი ქონების შესაძენად და რემონტისათვის, ავტოსესხი და ა.შ.);

თანრიგი 3 – გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის ტიპის (ფიქსირებული/ცვალეზადი) იდენტიფიცირებისათვის;

თანრიგი 4 – გამოიყენება არარესტრუქტურიზებული/რესტრუქტურიზებული სესხის იდენტიფიცირებისათვის;

თანრიგი 5 – აღნიშნავს სესხის კატეგორიას (სტანდარტული, საყურადღებო, არასტანდარტული, საეჭვო, უიმედო);

თანრიგი 6-7: გამოიყენება დამატებითი ინფორმაციის იდენტიფიცირებისათვის, როგორცაა ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით იდენტიფიცირება, ან სხვა დამატებითი ინფორმაციისათვის, რომლის შესწავლის აუცილებლობაც შესაძლოა გაჩნდეს მომავალში.

5.7.61. სესხებზე დამატებითი ინფორმაციის კლასიფიკატორი მოცემულია დანართში 2.

სესხებზე დამატებითი ინფორმაციის კლასიფიკატორის თითოეული პოზიციის გასწვრივ, განსაზღვრულია „ინფორმაციის მიღების წესი“ (იხ. ბოლო ორი სვეტი) – „აგზავნის ბანკი“ ან „ფორმულა“. „ფორმულა“-თი აღნიშნული სტრიქონის გამოთვლა ხორციელდება ეროვნულ ბანკში და მისი გამოგზავნა ანგარიშვალდებული ბანკის მიერ არ ხდება. FID ოჯახის მონაცემების წარდგენისას, თითოეული სასესხო პროდუქტის მიხედვით ეროვნულ ბანკში წარსადგენია მხოლოდ ZZ-ზე და Z0-ზე დაბოლოებული კოდების შესაბამისი ინფორმაცია. ამასთან, ZZ-ზე დამთავრებული კოდები წარმოადგენს 1-იანებზე დაბოლოებული კოდების ჯამს, ხოლო Z0-ზე დამთავრებული – 2-,3- და 4-იანზე დაბოლოებული კოდებით განსაზღვრული მონაცემების ჯამს.

5.7.62.  **წინა გამოცემისაგან განსხვავებით, წინამდებარე სახელმძღვანელო ითვალისწინებს სესხებზე დამატებითი ინფორმაციის კლასიფიკატორში ოვერდრაფტის, საკრედიტო ბარათებით გაცემული სესხებისა და განვადების ცალკე კომპონენტად გამოყოფას.**

5.7.62.1. **ოვერდრაფტი (0900000)** წარმოადგენს მოკლევადიან სესხს, ინდივიდუალურად განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, რომელიც დაიშვება ბანკის მიერ კლიენტის ანგარიშზე და აძლევს მას საშუალებას გამოიყენოს იმაზე მეტი თანხა, ვიდრე იგი რეალურად ფლობს. ოვერდრაფტი, როგორც წესი, მიბმულია კლიენტის ხელფასზე და ათვისებულ თანხაზე არ მოქმედებს საშეღავათო პერიოდი.

5.7.62.2. **საკრედიტო ბარათით გაცემული სესხი (1000000)** - ბანკის მიერ მინიჭებული საკრედიტო ლიმიტი, უნაღდო ანგარიშსწორების შესასრულებლად ან/და ნაღდი ფულის მისაღებად, მათ შორის ბანკომატიდან. იგი იძლევა ფულადი სახსრებით სარგებლობის საშუალებას, როდესაც კლიენტის საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთი ამონურულია.

საკრედიტო ბარათს არ აქვს დაფარვის სტანდარტული გრაფიკი.

საკრედიტო ბარათების უმეტესობაზე მოქმედებს ე.წ. საშეღავათო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც, დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში, ათვისებულ თანხას არ ერიცხება პროცენტი.

5.7.62.3. **განვადება (1100000)** - სესხი, რომლით სარგებლობაც შესაძლებელია სხვადასხვა ობიექტში სასურველი ნივთის შესაძენად. განვადების დროს მომხმარებელი სასურველ ნივთს წინასწარ იძენს, ხოლო თანხას ეტაპობრივად იხდის.

5.7.62.4. **სხვა სესხები (0800000)** - გულისხმობს ყველა დანარჩენ სასესხო პროდუქტს, რომელიც არ ხვდება ზემოთ ჩამოთვლილ პროდუქტებში.

5.7.63. **სესხების უზრუნველყოფის კლასიფიკატორი (CodeList CL_Loc)** ახდენს ფინანსური ინსტიტუტის მიერ გაცემული სესხების დეტალიზაციას უზრუნველყოფის სახეების მიხედვით.

ა) **საცხოვრებელი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი - სესხი**, რომელიც უზრუნველყოფილია სახლით, ბინით, მობილური სახლით, ინდივიდუალური შინამეურნეობისათვის განკუთვნილი მიწით (p. 6.58⁵).

ბ) **კომერციული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი** - სესხი, რომელიც უზრუნველყოფილია კომერციული უძრავი ქონებით, აგრეთვე სამშენებლო და დეველოპერული კომპანიებისათვის გამოყოფილი სესხი. კომერციულ უძრავ ქონებას განეკუთვნება შენობა-ნაგებობები და მიწა, რომელიც გამოყენებულია წარმოების, საცალო და საბითუმო ვაჭრობის და სხვა ანალოგიური საქმიანობისათვის (p. 6.61⁶).

გ) **დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხი** - სესხი, რომელიც უზრუნველყოფილია დეპოზიტით, აგრეთვე მესამე პირის კუთვნილი დეპოზიტით.

დ) **ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი სესხი** - სესხი, რომელიც უზრუნველყოფილია ფასიანი ქაღალდებით.

5 Financial Soundness Indicators. Compilation Guide. International Monetary Fund. 2006
6 Financial Soundness Indicators. Compilation Guide. International Monetary Fund. 2006

ე) მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი – სესხი, რომელიც უზრუნველყოფილია მოძრავი ქონებით, ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილის გარდა.

ვ) სხვა ქონებით უზრუნველყოფილი სესხი – სესხები, რომლებიც უზრუნველყოფილია სხვა ქონებით, ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, მათ შორის მესამე პირის გარანტიით, ხელფასით უზრუნველყოფილი და სხვ.

ზ) საბლანკო სესხი – სესხი რომელიც გაიცემა უზრუნველყოფის გარეშე („საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, თავი 1, მუხლი 1, პუნქტი „მ“; “კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“, დამტკიცებული სებ-ის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს N117/04 ბრძანებით).



5.7.64. თუ სესხს გააჩნია შერეული უზრუნველყოფა (და შესაძლოა, ამასთან, უზრუნველყოფის თანხა აჭარბებს სესხის თანხას), მაშინ სეგსტატში უნდა გაიყოს ასეთი სესხი უზრუნველყოფის ტიპების თანხის პროპორციულად. მაგალითად, ვთქვათ გაცემულია სესხი 120000 ლარის ოდენობით და იგი უზრუნველყოფილია საცხოვრებელი უძრავი ქონებით – 80000 ლარი, მოძრავი ქონებით – 30000 ლარი და ფასიანი ქაღალდებით – 15000 ლარი. ასეთ შემთხვევაში მოცემული სესხი უნდა გაიყოს უზრუნველყოფის ტიპების თანხების პროპორციულად და გამოიგზავნოს სამ ნაწილად (სამი გასაღების შესაბამისად):

ცხრილი 5.15. გაცემული სესხის შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესი შერეული უზრუნველყოფის შემთხვევაში

	ლარი	უზრუნველყოფილი ქონების ღირებულება	
	A	B	C
გაცემული სესხი, სულ	120000	x	x
მათ შორის უზრუნველყოფილი:			
სულ	x	125000	100.0
საცხოვრებელი უძრავი ქონებით	76800	80000	64.0
მოძრავი ქონებით	28800	30000	24.0
ფასიანი ქაღალდებით	14400	15000	12.0

ე.ი. საცხოვრებელი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის შესაბამისი თანხა იქნება: 76800 ($120000 \times 64 : 100$),

მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილის შესაბამისი – 28800 ($120000 \times 24 : 100$),

ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილის შესაბამისი – 14400 ($120000 \times 12 : 100$).

პრაქტიკაში შესაძლოა, რომ გაცემული სესხი არ იყოს სრულად უზრუნველყოფილი (ნაწილობრივ უზრუნველყოფილი სესხი). ასეთ შემთხვევაში, იმის დასაადგენად, რომ სესხის არაუზრუნველყოფილი ნაწილი არის ერთი კონკრეტული სესხის ნაწილი და არა საბლანკო სესხი, CL_Loc კლასიფიკატორში არსებობს შემდეგი დამატებითი სტრიქონები:

ცხრილი 5.16. უზრუნველყოფილი სესხის არაუზრუნველყოფილი ნაწილის იდენტიფიცირება

კოდი	დასახელება
LN1	საცხოვრებელი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის არაუზრუნველყოფილი ნაწილი
LN2	კომერციული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის არაუზრუნველყოფილი ნაწილი
LN6	დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხის არაუზრუნველყოფილი ნაწილი
LN3	ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი სესხის არაუზრუნველყოფილი ნაწილი
LN4	მოდრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის არაუზრუნველყოფილი ნაწილი
LN5	სხვა ქონებით უზრუნველყოფილი სესხის არაუზრუნველყოფილი ნაწილი

ასეთი სესხის შემთხვევაში სათანადო გაანგარიშებები ინფორმაციის წარმოსადგენად უნდა განხორციელდეს შემდეგი სქემით:

ცხრილი 5.17. გაცემული სესხის შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესი შერეული და ამავე დროს არასრულად უზრუნველყოფის შემთხვევაში

	ლარი	უზრუნველყოფილი ქონების ღირებულება	
		თანხა, ლარი	ხვედრითი წილი
გაცემული სესხი, სულ	120000.00	x	x
მათ შორის უზრუნველყოფილი:			
სულ	x	110000.00	100.0
კომერციული უძრავი ქონებით	80000.00	80000.00	72.7
ფასიანი ქაღალდებით	30000.00	30000.00	27.3
არაუზრუნველყოფილი ნაწილი	10000.00	x	x
მათ შორის:			
ნაწილი 1	7272.73	x	x
ნაწილი 2	2727.27	x	x

საჭიროა, რომ აღნიშნული სესხის იდენტიფიცირება მოხდეს 4 გასაღების საშუალებით (უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით):

კომერციული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ნაწილი (CL_Loc – LC2);

ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი ნაწილი (CL_Loc – LC3);

და ასევე პროპორციულად განაწილებული არაუზრუნველყოფილი ნაწილები:

არაუზრუნველყოფილი ნაწილი 1 (CL_Loc – LN2);

არაუზრუნველყოფილი ნაწილი 2 (CL_Loc – LN3).

გემოაღნიშნული პირობების გამო სესხის რამდენიმე ნაწილად წარდგენის შემთხვევაში, იმის იდენტიფიცირებისათვის, რომ საქმე ეხება ერთ კონკრეტულ სესხს (და არა რამდენიმეს), სასესხო ხელშეკრულების რაოდენობაში (QV) უნდა მიეთითოს სესხის მოცემული ნაწილის შესაბამისი კოეფიციენტი.

უზრუნველყოფილი სესხების ეს და სხვა დეტალური შემთხვევები განხილულია ექსელის ცხრილებში მისამართზე: https://services.nbg.gov.ge/SebstatUploader/docs/Case_Study.xlsx.

ანალოგიურად ვიქცევით სესხის ვადაგადაცილებული ნაწილის არსებობის შემთხვევაშიც.

5.7.65. **ფინანსური ინსტრუმენტების რანჟირების კლასიფიკატორი (CodeList CL_Rng)** ახდენს ფინანსური ინსტიტუტის მიერ გაცემული სესხების(AS)/მიღებული(LI) დეპოზიტების რანჟირებას განსაზღვრული ინტერვალების მიხედვით, რომელიც ჩამოთვლილია CL_Rng კლასიფიკატორში.

5.7.66. სესხის ნაშთის შემთხვევაში მისი რანჟირება უნდა მოხდეს **სესხის დარჩენილი ნაშთის შესაბამისად**, ხოლო დეპოზიტის ნაშთის შემთხვევაში - ამ ნაშთის შესაბამისი მოცულობის მიხედვით. ამასთან, სესხის დარჩენილი ნაშთი უნდა გაიყოს ვადაგადაცილების გარეშე და ვადაგადაცილებულ ნაწილებად და თითოეული ნაწილი რანჟირებულ უნდა იქნეს იმ დიაპაზონში, რომელიც შეესაბამება სესხის დარჩენილი ნაშთის არავადაგადაცილებულ ნაწილს. მაგალითად, დავუშვათ სესხი გაცემულია ევროთი და მისი დარჩენილი ნაწილია 26000, საიდანაც ვადაგადაცილებულია 4000. ასეთი სესხის რანჟირების წესი მოცემულია ცხრილში:

	QV - ხელშეკრულების რაოდენობა	BV - სესხის მოცულობა, ნომინალური ღირებულებით	რანჟირება CL_Rng	ვალუტა CL_Cur
სესხის დარჩენილი ნაწილი	1	26 000	X	X
აქედან:				
ვადაგადაცილების გარეშე	1	22 000	D3	EUR
ვადაგადაცილებული ნაწილი	1	4 000	D3	EUR

იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ სესხს არ გააჩნია დარჩენილი ნაწილი და მთლიანად ვადაგადაცილებულია, მაშინ მისი რანჟირება უნდა მოხდეს ამ ვადაგადაცილებული თანხის მოცულობის შესაბამისად.

თუ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა ვადაგადაცილებული ნაშთის ზრდას, მაგრამ სესხის დარჩენილი ნაწილი მაინც მეთა 0-ზე, მაშინ ვადაგადაცილებული სესხის ნაკადის რანჟირება უნდა მოხდეს ასევე დარჩენილი ნაშთის მოცულობის მიხედვით.

როგორც სესხის, ისე დეპოზიტის ნაკადების (ახალი სესხის/დეპოზიტის) შემთხვევაში მათი რანჟირება უნდა მოხდეს შესაბამისი ნაკადების მოცულობის მიხედვით.

დეპოზიტის ზოგიერთი ტიპის შემთხვევაში (მაგალითად, დაგროვებითი დეპოზიტი), თუ საანგარიშო თვის განმავლობაში კონკრეტული კლიენტი კონკრეტულ ანგარიშზე თანხას შემოიტანს რამდენჯერმე, მაშინ შესაბამისი თვის ანგარიშგებაში ეს ნაკადი აისახება ჯამის სახით, როგორც ერთი ნაკადი, და რანჟირების მიზნით მოხვდება ამ ჯამის შესაბამის დიაპაზონში.

ანალოგიური მიდგომაა სესხის ნაკადის შემთხვევაშიც, თუ მისი გატანა ანგარიშიდან ხდება ნაწილ-ნაწილ საანგარიშო თვის განმავლობაში.

დეპოზიტის შემთხვევაში, მიუხედავად დეპოზიტის ტიპისა (ვადიანი, დაგროვებადი, საინვესტიციო ანაბარი და ა.შ.) რანჟირება უნდა მოხდეს დეპოზიტის არსებული ნაშთის შესაბამისად.

სესხის რამოდენიმე ნაწილად წარდგენის შემთხვევაში რანჟირების წესი ილუსტრირებულია კონკრეტულ მაგალითებზე ექსელის ცხრილებში, მისამართზე: https://services.nbg.gov.ge/SebstatUploader/docs/Case_Study.xlsx.

5.7.67. **საპროცენტო განაკვეთების კლასიფიკატორი (CodeList CL_Ir)** ახდენს ფინანსური ინსტიტუტის მიერ გაცემული/მიღებული სესხებისა და განთავსებული დეპოზიტების შესაბამისი საპროცენტო განაკვეთების იდენტიფიცირებას.

კომერციული ბანკი ვალდებულია როგორც გაცემული სესხის, ისე განთავსებული დეპოზიტის მიხედვით მიუთითოს კონკრეტული საპროცენტო განაკვეთი (იხ. ფორმატი), CL_Ir კლასიფიკატორის შესაბამისად და შესაბამისი სესხის/დეპოზიტის თანხას (CL_MType).

5.7.68. **შეფასების ტიპების კლასიფიკატორი (CodeList CL_MType)** ახდენს თითოეული ფინანსური/არაფინანსური ინსტრუმენტის შეფასების ტიპის იდენტიფიცირებას.

სებსტატი ითვალისწინებს ფინანსური/არაფინანსური ინსტრუმენტების შეფასებას შემდეგ კლასიფიკაციას:

- ⦿ BV - თანხა (საბალანსო ღირებულება);
- ⦿ ER - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
- ⦿ QV - რაოდენობა;
- ⦿ MV - საბაზრო ღირებულება;
- ⦿ VC - ღირებულების ცვლილება;
- ⦿ OC - სხვა ცვლილებები.

მითითებები იმის შესახებ, თუ რა ერთეულებში ხდება ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის შეფასება, იხილეთ ცხრილში 7.8.

5.7.69. **ოპერაციის ტიპის კლასიფიკატორი FEX ოჯახისთვის (CodeList CL_TType)** ახდენს კომერციული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის ყიდვა/გაყიდვის ოპერაციების ტიპების (სპოტი, სვოპი, ფორვარდი, ფიუჩერსი, ოპციონი და სხვა) იდენტიფიცირებას.

5.7.69.1. **სპოტი** – უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია მიმდინარე საბაზრო სპოტ-კურსით დაუყოვნებლივი ანგარიშსწორების პირობით;

5.7.69.2. **სავალუტო სვოპი** – ორ მონაწილეს შორის ერთი და იმავე ვალუტით ერთდროულად (ერთი სავაჭრო დღის განმავლობაში) დადებული ორი სავალუტო გარიგება, ვალუტის მიწოდების სხვადასხვა თარიღით და ვალუტის ყიდვა-გაყიდვის სხვადასხვა კურსით;

5.7.69.3. **სავალუტო ფორვარდი** – უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ვადიანი სავალუტო გარიგება ბირჟის გარეშე;

5.7.69.4. **სავალუტო ფიუჩერსი** – უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ვადიანი სავალუტო გარიგება ბირჟებზე, გარიგების დადების მომენტისათვის ფიქსირებული ფასით, ოპერაციის გარკვეული დროის შემდეგ შესრულებით;

5.7.69.5. **სავალუტო ოფციონი** – უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის უფლება, რომელიც კონტრაქტის პირობით ენიჭება ერთ-ერთ მონაწილე მხარეს. ამავე დროს, მეორე მონაწილე მხარე იღებს ვალდებულებას პირველი მხარის მიერ კონტრაქტით მინიჭებული უფლების გამოყენების შემთხვევაში დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნა;

5.7.70. **კონტრაგენტის კლასიფიკატორი FEX ოჯახისათვის (CodeList CL_Contr)** ახდენს უცხოური ვალუტის ყიდვა/გაყიდვის ოპერაციების განხორციელებისას კომერციული ბანკის კონტრაგენტის იდენტიფიცირებას.

უცხოური ვალუტის ყიდვა/გაყიდვის ოპერაციებს კომერციული ბანკები ახორციელებენ:

- ⦿ რეზიდენტ კომერციულ ბანკებთან;
- ⦿ არარეზიდენტ ბანკებთან;
- ⦿ იურიდიულ პირებთან (ბანკების გარდა);
- ⦿ ფიზიკურ პირებთან.

5.7.71. **ოპერაციის ტიპის კლასიფიკატორი MTR ოჯახისთვის (CodeList CL_Inout)** ახდენს სწრაფი ფულადი გზავნილების საქართველოში ჩარიცხვის/საქართველოდან გადარიცხვის ოპერაციების იდენტიფიცირებას.

5.7.72. **ელექტრონული სისტემის კლასიფიკატორი (CodeList CL_Sys)** ახდენს სწრაფი ფულადი გზავნილების განმახორციელებელი ელექტრონული სისტემების იდენტიფიცირებას.

5.7.73. ამოღებულია (იხ.: სებსტატის სახელმძღვანელოს დამატება 1).

5.7.74. ამოღებულია (იხ.: სებსტატის სახელმძღვანელოს დამატება 1).

5.7.75. ამოღებულია (იხ.: სებსტატის სახელმძღვანელოს დამატება 1).

5.7.76. ამოღებულია (იხ.: სებსტატის სახელმძღვანელოს დამატება 1).



ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია

6.1. ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური და არაფინანსური ინსტრუმენტები კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

- ⊗ მონეტარული ოქრო და სესხის სპეციალური უფლებები;
- ⊗ ნაღდი ფული და დეპოზიტები;
- ⊗ ფასიანი ქაღალდები, აქციების გარდა;
- ⊗ სესხები;
- ⊗ აქციები და სხვა საკუთარი კაპიტალი;
- ⊗ დაზღვევა, საპენსიო და სტანდარტიზებული საგარანტიო სქემები;
- ⊗ ფინანსური წარმოებულები და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე;
- ⊗ სხვა მისაღები/გადასახდელი ანგარიშები;
- ⊗ არაფინანსური აქტივები.

6.2. მონეტარული ოქრო და სესხის სპეციალური უფლებები (SDRs)

(გამოიყენება მხოლოდ ეროვნული ბანკის პრაქტიკაში)

- 6.2.1. მონეტარული ოქრო და სესხის სპეციალური უფლებები (SDRs), გამოშვებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ, წარმოადგენს აქტივებს და, როგორც წესი, იმყოფება მონეტარული ხელისუფლების მფლობელობაში (SNA 2008 §11.44).

მონეტარული ოქრო წარმოადგენს ოქროს, რომელზედაც საკუთრების უფლებას ფლობს მონეტარული ხელისუფლება (ცენტრალური ბანკი) და ინახავს მას, როგორც სარეზერვო აქტივს. მონეტარულ ოქროს მიეკუთვნება მხოლოდ ის ოქრო, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ აქტივს და უცხოური რეზერვების ნაწილს. იგი მოიცავს ოქროს ზოდებს (ოქროს ანგარიშებზე არსებული ოქროს ჩათვლით). აქედან გამომდინარე, ოქროს ზოდები შეიძლება იყოს მხოლოდ ცენტრალური ბანკის ფინანსური აქტივი (SNA 2008 §11.45).

- 6.2.2. ოქრო, რომელიც არ წარმოადგენს მონეტარულ ოქროს, კლასიფიცირდება, როგორც არამონეტარული ოქრო და აღირიცხება, როგორც არაფინანსური აქტივი (MFSM §121-122, §217).

6.3. ნაღდი ფული და დეპოზიტები

- 6.3.1. ნაღდი ფული მოიცავს ბანკნოტებსა და მონეტებს, დენომინირებულს ეროვნული ვალუტით და უცხოური ვალუტით, რომელიც წარმოადგენს სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების ან მთავრობის ვალდებულებებს.

ეს კატეგორია მოიცავს: კომერციული ბანკის სალაროს (F02101), ფულად სახსრებს ბანკომატებში (F02102), კვანძგარეთა საოპერაციო სალაროს (F02103), ბანკნოტებს და მონეტებს გზაში (F02104), სხვა საგადახდო დოკუმენტებს (F02105).

6.3.2. **ოქროს მონეტები, რომლებიც არ არის მიმოქცევაში, განიხილება, როგორც არაფინანსური აქტივი.**



6.3.3. **თუ ეროვნული ბანკიდან ნაღდი ფულის მიღებაზე კომერციული ბანკის მიერ განაცხადის წარდგენიდან ფულის ფაქტობრივ მიღებამდე ეროვნული ბანკი კომერციული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან მოხსნილ ფულს ჩარიცხავს სპეციალურ ანგარიშზე, მაშინ კომერციული ბანკი ვალდებულია ეს თანხა აღრიცხოს 1006 ანგარიშზე, რომელიც შესაბამისად აისახება ინსტრუმენტზე: F02104 - ბანკნოტები და მონეტები გზაში.**



6.3.4. **დეპოზიტები.**

6.3.4.1. **დეპოზიტი (საბანკო)** - შენახვის მიზნით ბანკში განთავსებული ფულადი სახსრები. საბანკო ანგარიშგებაში დეპოზიტი აისახება, როგორც ბანკის ვალდებულება. დაფარვის ვადის მიხედვით არსებობს მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტები.

6.3.4.2. **სავალდებულო რეზერვები სებ-ში (F02201)** - კომერციული ბანკების საერთო აქტივების ნაწილი, რომელიც ექვემდებარება საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო შენახვას, უზრუნველყოფს მომხმარებლების ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ზღუდავს კრედიტების გაცემას; იგი ამავე დროს წარმოადგენს კომერციული ბანკების მინიმალური რეზერვების ნაწილს, გაანგარიშებულს მოზიდული სახსრების მიმართ დადგენილი ნორმის შესაბამისად, რომელსაც განსაზღვრავს ეროვნული ბანკი ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე; წარმოადგენს ეროვნული ბანკის ვალდებულებას დეპოზიტური კორპორაციების მიმართ.

6.3.4.3. **საკორესპონდენტო ანგარიშები (F02202)** - მოიცავს დეპოზიტური კორპორაციების საკორესპონდენტო ანგარიშებს საქართველოს ეროვნულ ბანკში, აგრეთვე „ნოსტრო“ ანგარიშებს რეზიდენტ და არარეზიდენტ დეპოზიტურ კორპორაციებში და რეზიდენტი და არარეზიდენტი ცენტრალური ბანკებისა და დეპოზიტური კორპორაციების „ლორო“ ანგარიშებს.

6.3.4.4. **მიმდინარე ანგარიშები/დეპოზიტები (F02203)** - საბანკო ანგარიშები, რომლებზედაც განთავსებულია კლიენტთა თავისუფალი ფულადი სახსრები და საიდანაც თანხის მოხსნა შესაძლებელია დაუყოვნებლივ, კლიენტის მოთხოვნისთანავე; ამ ანგარიშების დანიშნულებაა კლიენტთა ფინანსური ოპერაციების განხორციელება, მათივე დავალებით.

6.3.4.5. **დეპოზიტი მოთხოვნამდე (F02204)** - საბანკო დეპოზიტი, რომელიც ექვემდებარება მფლობელისათვის უკან დაბრუნებას დაუყოვნებლივ, წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

6.3.4.6. **ვადიანი დეპოზიტები (F02205)** - შენახვის მიზნით ბანკში ფიქსირებული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები, რისთვისაც კლიენტს ერიცხება გარკვეული პროცენტი.

6.3.4.7. მიუხედავად იმისა, რომ „კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 3 მაისის N49/04 ბრძანების თანახმად საბანკო დეპოზიტად განიხილება აგრეთვე კომერციული ბანკის

სტანდარტული სადეპოზიტო სერთიფიკატი (მუხლი 1, პუნქტი 2,3), რომელიც ჩაირთვება ლარით დენომინირებული (მუხლი 3, პუნქტი 6 ა) ვადიანი დეპოზიტების (F02205) კატეგორიაში (მუხლი 3, პუნქტი 1 ე), ეროვნული ბანკის ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, და ამ სახელმძღვანელოს პირველი გამოცემისაგან განსხვავებით, სადეპოზიტო სერთიფიკატების ეს სახეობა სებსტატში აღირიცხება დამოუკიდებლად “ფასიანი ქაღალდები, აქციების გარდა” ნაწილში, კოდით F03300.

6.3.4.8. დეპოზიტები გარანტიების მიხედვით (F02206) – სახსრები, რომლებიც წარმოადგენს გარანტიების მიხედვით გადახდის უზრუნველყოფას.

6.3.4.9. დეპოზიტური ანგარიშები ჩეკის წიგნაკების მიხედვით (F02207) – ანგარიშები იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დეპონირებული სახსრების აღსარიცხავად, რომელიც უფლებას აძლევს შეანაბრეს გამოწეროს ჩეკი, მისი ანგარიშიდან ჩეკის მიმღების ანგარიშზე განსაზღვრული თანხის გადარიცხვის მიზნით.

6.3.4.10. დეპოზიტური ანგარიშები საბანკო ბარათების მიხედვით (F02208) – იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დეპონირებული და ინკასირებული სახსრები, რომლებიც გამოიყენება გადახდის სხვადასხვა საშუალებებით ანგარიშსწორებისათვის.

6.3.4.11. დეპოზიტური ანგარიშები აკრედიტაციის მიხედვით (F02209) – ანგარიშები, რომლებიც წინასწარ დაჯავშნულია სახსრები განეული მომსახურებისა და მიწოდებული მატერიალური ფასეულობების ღირებულების გადასახდელად.

6.3.4.12. დეპოზიტური ანგარიშები დანარჩენი საგადასახადო საბუთების მიხედვით (F02210) – ანგარიშები, საგადასახადო საბუთების მიხედვით, რომლებიც არ მიეკუთვნება F02202, F02207, F02208 და F02209 ინსტრუმენტებს.

6.3.4.13. სხვა დეპოზიტები (F02211) – მოიცავს დეპოზიტებს, რომლებიც არ მიეკუთვნება ზემოთ ჩამოთვლილი დეპოზიტებიდან არცერთს.

 **6.3.5. თუ არსებულ დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება დეპოზიტის ნაშთის სიდიდის მიხედვით, მაშინ ანგარიშებაში უნდა აისახოს პერიოდის ბოლოსათვის არსებული ნაშთის მოცულობის მიხედვით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი.**

6.4. ფასიანი ქაღალდები, აქციების გარდა

6.4.1. ფასიანი ქაღალდი (ფასიანი ქაღალდები) - მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით, ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად, ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ შეძენის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები.

6.5. სესხები

6.5.1. სესხი (F04000) წარმოადგენს ფინანსურ აქტივს, რომელიც წარმოიშვება, როცა კრედიტორი ასესხებს სახსრებს დებიტორს.

სესხების დეტალურად შესწავლის მიზნით სებსტატი იყენებს „სესხებზე დამატებითი ინფორმაციის კლასიფიკატორს“ (CL_Lop) და, აგრეთვე, „სესხების უზრუნველყოფის კლასიფიკატორს“ (CL_Loc).

6.6. აქციები და სხვა საკუთარი კაპიტალი

6.6.1. აქცია - ფასიანი ქაღალდი, რომელიც ემიტენტის სანესდებო კაპიტალის ნაწილია და ადასტურებს მისი მფლობელის უფლებებს სააქციო საზოგადოების მოგების წილის მიღებაზე, სააქციო საზოგადოების მართვაში მონაწილეობასა და სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში ქონების წილზე.

6.7. დაზღვევა, საპენსიო და სტანდარტიზებული საგარანტიო სქემები

6.7.1. ეს ინსტრუმენტი მოიცავს დაზღვევის, საპენსიო და სტანდარტიზებული საგარანტიო სქემების ფუნქციებს შემოსავლებისა და ქონების გადანაწილების ფორმით, რომლებიც ხორციელდება ფინანსური შუამავლების მეშვეობით.

6.8. ფინანსური წარმოებულები და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე

6.8.1. **ფინანსური წარმოებული (წარმოებული ფინანსური კონტრაქტი)** წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, მაჩვენებლებთან ან საქონელთან და რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ფინანსურ ბაზარზე კონკრეტული ფინანსური რისკების (როგორებიცაა საპროცენტო და სავალუტო რისკები, აქციების კურსის და საქონლის ფასების ცვლილების რისკი, საკრედიტო და ა.შ. რისკები) ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების წარმოება, ძირითადი ინსტრუმენტისაგან დამოუკიდებლად.

6.8.2. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება წარმოსდგება საბაზო ობიექტის (როგორიც შეიძლება იყოს აქტივი ან ინდექსი) ფასისაგან.

6.8.3. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები გამოიყენება სხვადასხვა მიზნებისათვის, როგორებიცაა რისკების მართვა, ჰეჯირება და სხვა.

6.8.4. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სებასტატში კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

ცხრილი 5.18. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

კოდი	დასახელება
F07000	ფინანსური წარმოებულები
F07100	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები
F07101	სვოპები
F07102	ოპციონები
F07103	ფორვარდები
F07104	ფიუჩერსები
F07105	თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე
F07200	ჰეჯირების ფინანსური ინსტრუმენტები
F07201	სვოპები
F07202	ოპციონები
F07203	ფორვარდები
F07204	ფიუჩერსები

6.9. სხვა დებიტორები/კრედიტორები

6.9.1. სხვა დებიტორები/კრედიტორები მოიცავს სავაჭრო კრედიტებს, ავანსებს და სხვა მუხლებს, რომლებიც არ მიეკუთვნება არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ ფინანსურ ინსტრუმენტს.

6.9.2. სხვა დებიტორები/კრედიტორების კატეგორიაში განხილული სავაჭრო კრედიტები უნდა განვასხვაოთ სესხების კატეგორიაში განხილული ვაჭრობაზე გაცემული კრედიტებისაგან. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ეს უკანასკნელი არის პროცენტის (შემოსავლის) მომტანი, მაშინ, როცა პირველი მათგანი არ არის პროცენტის (შემოსავლის) მომტანი (MFSCG §1.11).

6.9.3.  სხვა დებიტორები/კრედიტორებში შემავალი სხვა მისაღები/გადასახდელი ანგარიშების შემადგენლობაში არსებული ცენტრალურ ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადების (ინსტრუმენტები F08511-F08517) აღრიცხვისას, ყურადღებაამისაქცევია ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლების სამსახური შედის ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში, აღნიშნული გადასახადები მაინც არის ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და ამდენად კონტრაგენტი სექტორის იდენტიფიცირებისას მითითებულ უნდა იქნეს S13100 (ცენტრალური მთავრობა) და არა S13099 (ფინანსთა სამინისტრო; თუმცა ფინანსთა სამინისტროც ცენტრალური მთავრობაა, მაგრამ მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სამთავრობო სექტორში განიხილება ცალკე ქვესექტორის სახით).

6.10. არაფინანსური აქტივები

6.10.1. არაფინანსური აქტივები მოიცავს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს, აგრეთვე არამონეტარულ ოქროს (MFSM §121-122, §217).



7. ოპერაციები, ნაშთები, ნაკადები და სხვა ცვლილებები: არსი და შეფასება

7.1. საბალანსო იგივეობა

7.1.1. სეგსტატის კონცეფცია ემყარება ნაშთებსა და ნაკადებს შორის არსებულ ცნობილ იგივეობას (MF-SCG §5.4):

$$CS = OS + T + VC + OCVA \quad (1)$$

ან სხვაგვარად –

$$CS - OS - T - VC - OCVA = 0 \quad (2)$$

სადაც: OS არის საწყისი ნაშთი (ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის);

CS - საბოლოო ნაშთი (ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის);

T - ოპერაციები;

VC - ღირებულების ცვლილება;

OCVA - სხვა ცვლილებები.

T, VC და OCVA წარმოადგენს ნაკადებს.

7.1.2 ოპერაციები წარმოადგენს ფინანსურ ნაკადებს, რომლებიც წარმოიქმნება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შექმნის, ლიკვიდაციის ან მათზე საკუთრების უფლების ცვლილების შესახებ ინსტიტუციურ ერთეულებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე. საკუთრების უფლების ცვლილება წარმოიქმნება გაყიდვის, უანგაროდ გადაცემის და უფლებებისა და ვალდებულებების სხვა შეწყვეტის შედეგად.



7.1.2.1. სეგსტატის სახელმძღვანელოს წინა გამოცემა, რესპონდენტთა საანგარიშგებო ტვირთის შემსუბუქების მიზნით, მოითხოვდა ოპერაციებში მხოლოდ იმ ნაკადების ჩართვას, რომლებიც ზრდის ანგარიშზე ნაშთებს (აქტიური ანგარიშის შემთხვევაში - დებეტური ბრუნვები, პასიური ანგარიშის შემთხვევაში - კრედიტული ბრუნვები). თუმცა, პრაქტიკამ უჩვენა რომ ეს მიდგომა მნიშვნელოვნად არ ამცირებს ანგარიშგების პროცესის პრომატევალობას.

7.1.3. ღირებულებითი ცვლილებები (VC) და სხვა ცვლილებები (OCVA) სეგსტატში უნდა აისახოს სალდოს სახით, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ცვლილებების არსებობის შემთხვევაში შესაძლოა მონაცემები დაფიქსირდეს „-“, ნიშნით.

7.2. ოპერაციებისა და ღირებულების ცვლილებების გაანგარიშება

7.2.1. შემთხვევა 1: როცა სხვა ცვლილებებს (OCVA) ადგილი არა აქვს

ოპერაციებისა (T) და ღირებულების ცვლილების (VC) შეფასება უცხოური ვალუტით დენომინირებული მოცემული კონკრეტული ინსტრუმენტის მიხედვით მოითხოვს ინფორმაციას გაცვლითი კურსებისა (e) და არსებული საწყისი (S_0) და საბოლოო (S_1) ნაშთების შესახებ შესაბამის ვალუტაში. თითოეული მათგანი გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:

ოპერაციების ცვლილება:

$$T = e_m (S_1 - S_0) \quad (1)$$

ღირებულების ცვლილება:

$$VC = e_1 S_1 - e_0 S_0 - e_m (S_1 - S_0) = (e_1 - e_m) S_1 - (e_0 - e_m) S_0 \quad (2)$$

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ არსებული ნაშთები ეროვნული ვალუტით გამოისახება შემდეგნაირად:

საწყისი ნაშთი: $OS = e_0 S_0 \quad (3)$

საბოლოო ნაშთი: $CS = e_1 S_1 \quad (4)$

და შევცვლით (1) და (2) ტოლობებში S_0 -ს და S_1 -ს თავიანთი მნიშვნელობებით (3) და (4) ტოლობებიდან გამომდინარე, მაშინ მივიღებთ ოპერაციებისა და ღირებულების ცვლილებების გამოსათვლელ შემდეგ ფორმულებს:

$$T = (e_m/e_1)CS - (e_m/e_0)OS, \quad (6)$$

$$VC = [1 - (e_m/e_1)]CS - [1 - (e_m/e_0)]OS \quad (7)$$

მაგალითი: ვთქვათ, უნდა გავიანგარიშოთ ოპერაციებისა და ღირებულების ცვლილება ევროთი დენომინირებული დეპოზიტებისათვის (როცა სხვა ცვლილებებს (OCVA) ადგილი არა აქვს). გვაქვს შემდეგი მონაცემები:

დეპოზიტების საწყისი ნაშთი უცხოური ვალუტით (S_0): € 112

დეპოზიტების საბოლოო ნაშთი უცხოური ვალუტით (S_1): € 122

გაცვლითი კურსი პერიოდის დასაწყისისათვის (e_0): 2.1

გაცვლითი კურსი პერიოდის ბოლოსათვის (e_1): 2.2

ყოველდღიური საშუალო გაცვლითი კურსი (e_m) პერიოდის განმავლობაში: 2.18

დეპოზიტების საწყისი ნაშთი ეროვნული ვალუტით (OS): GEL 235.2

დეპოზიტების საბოლოო ნაშთი ეროვნული ვალუტით (CS): GEL 268.4.

მოცემულობიდან გამომდინარე მივიღებთ -

ოპერაციების ცვლილებას:

$$T = 2.18 \cdot (122 - 112) = 21.8 \text{ (იხ. ტოლობა (1))}, \text{ ან}$$

$$T = (2.18/2.2) \cdot 268.4 - (2.18/2.1) \cdot 235.2 = 265.96 - 244.16 = 21.8 \text{ (იხ. ტოლობა (6))},$$

ღირებულების ცვლილებას:

$$VC = (2.2 - 2.18) \cdot 122 - (2.1 - 2.18) \cdot 112 = 11.4 \text{ (იხ. ტოლობა (2))},$$

$$VC = [1 - (2.18/2.2)] \cdot 268.4 - [1 - (2.18/2.1)] \cdot 235.2 = 11.4 \text{ (იხ. ტოლობა (7))},$$

$$VC = 268.4 - 235.2 - 21.8 = 11.4 \text{ (გამოკლების მეთოდით)}.$$

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ღირებულების ცვლილების გაანგარიშების გამარტივებული სქემა, როცა ინსტრუმენტის მოცულობის სხვა ცვლილებებს ადგილი არ აქვს.

ცხრილი 7.1. ოპერაციისა და ღირებულების ცვლილებების გაანგარიშება, როცა აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებებს ადგილი არ აქვს: შემთხვევა 1

საწყისი ნაშთი	ოპერაცია	ღირებულების ცვლილება	საბოლოო ნაშთი
აშშ \$			
€ 112			€ 122
ლარში			
$112 \times 2.1 = 235.2$	$(122 - 112) \times 2.18 = 21.8$	$268.4 - 235.2 - 21.8 = 11.4$	$122 \times 2.2 = 268.4$
ცნობისათვის:			
კურსი: 2.1	ყოველდღიური საშუალო კურსი: 2.18		კურსი: 2.2

თუმცა, ეს შემთხვევა უმეტესად გამოიყენება მაშინ, როცა ინფორმაცია ოპერაციების (ნაკადების) შესახებ ცნობილი არ არის. როცა ოპერაციების ცნობილია, ასეთ შემთხვევაში რეკომენდებულია შემდეგი სქემის გამოყენება:

ცხრილი 7.2. ოპერაციისა და ღირებულების ცვლილებების გაანგარიშება, როცა აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებებს ადგილი არ აქვს: შემთხვევა 2

საწყისი ნაშთი	ოპერაცია	ღირებულების ცვლილება	საბოლოო ნაშთი
აშშ \$			
€ 112	€ 10		€ 122
ლარში			
$112 \times 2.1 = 235.2$	$10 \times 2.18 = 21.8$	$268.4 - 235.2 - 21.8 = 11.4$	$122 \times 2.2 = 268.4$
ცნობისათვის:			
კურსი: 2.1	ყოველდღიური საშუალო კურსი: 2.18		კურსი: 2.2

აქ საგულისხმოა ის გარემოება, რომ ოპერაციების (ნაკადების) ეროვნულ ვალუტაში გაანგარიშებისათვის უმჯობესია ოპერაციის მოხდენის დღის გაცვლითი კურსით სარგებლობა. თუმცა, თუ ეს ვერ ხერხდება, მაშინ რეკომენდებულია ყოველდღიური საშუალო გაცვლითი კურსით სარგებლობა, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე.

7.2.2. შემთხვევა 2: როცა სახეგა ინსტრუმენტის ღირებულების სხვა ცვლილებებიც (OCVA)

როცა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ადგილი აქვს ინსტრუმენტის მოცულობის სხვა ცვლილებებსაც, მაშინ ოპერაციებისა და ღირებულების ცვლილებების გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად:

ოპერაციების ცვლილება -

$$T = e_m (S_1 - S_0 - OCVA) \quad (8)$$

ღირებულების ცვლილება -

$$VC = e_1 S_1 - e_0 S_0 - e_1 OCVA - e_m (S_1 - S_0 - OCVA) = (e_1 - e_m) S_1 - (e_0 - e_m) S_0 - (e_1 - e_m) OCVA \quad (9)$$

ოპერაციებისა და ღირებულების ცვლილება ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებული ნაშთების მიხედვით, გაიანგარიშება შემდეგნაირად.

$$T = (e_m/e_1) CS - (e_m/e_0) OS - e_m OCVA, \quad (10)$$

$$VC = [1 - (e_m/e_1)] CS - [1 - (e_m/e_0)] OS - (e_1 - e_m) OCVA \quad (11)$$

მაგალითი: ვთქვათ, უნდა გავიანგარიშოთ ოპერაციებისა და ღირებულების ცვლილება ევროთი დენომინირებული სესხებისათვის.

გვაქვს შემდეგი მონაცემები:

სესხების სანყისი ნაშთი უცხოური ვალუტით (S_0): € 152

სესხების საბოლოო ნაშთი უცხოური ვალუტით (S_1): € 137

გაცვლითი კურსი პერიოდის დასაწყისისათვის (e_0): 2.1

გაცვლითი კურსი პერიოდის ბოლოსათვის (e_1): 2.2

ყოველდღიური საშუალო გაცვლითი კურსი (e_m) პერიოდის განმავლობაში: 2.18

სესხების სანყისი ნაშთი ეროვნული ვალუტით (OS): GEL 319.2

სესხების საბოლოო ნაშთი ეროვნული ვალუტით (CS): GEL 301.4

OCVA = € 13

ამ მოცემულობიდან გამომდინარე მივიღებთ -

ოპერაციების ცვლილებას:

$$T = 2.18 * (137 - 152 - 13) = -61.04 \text{ (იხ. ტოლობა (8))},$$

$$T = (2.18/2.2) * 137 - (2.18/2.1) * 152 - 2.18 * 13 = -61.04 \text{ (იხ. ტოლობა (10))},$$

ღირებულების ცვლილებას:

$$VC = (2.2 - 2.18) * 137 - (2.1 - 2.18) * 152 - (2.2 - 2.18) * 13 = 14.64 \text{ (იხ. ტოლობა (9))},$$

$$VC = [1 - (2.18/2.2)] * 301.4 - [1 - (2.18/2.1)] * 319.2 - (2.2 - 2.18) * 13 = 14.64$$

(იხ. ტოლობა (11)),

$$VC = 301.4 - 319.2 - (-61.04) - 2.2 * 13 = 14.64 \text{ (იხ. ტოლობა (8))}.$$

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ღირებულების ცვლილების გაანგარიშების გამარტივებული სქემა, როცა სახეზეა ინსტრუმენტის მოცულობის სხვა ცვლილებებიც (OCVA).

ცხრილი 7.3. ოპერაციისა და ღირებულების ცვლილებების გაანგარიშება, როცა სახეზეა აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებებიც: შემთხვევა 1

საწყისი ნაშთი	ოპერაცია	ღირებულების ცვლილება	სხვა ცვლილებები	საბოლოო ნაშთი
აშშ \$				
€ 152			€ 13	€ 137
ლარში				
$152 \times 2.1 = 319.2$	$(137 - 152 - 13) \times 2.18 = -61.04$	$301.4 - 319.1 - (-61.04) - 13 \times 2.2 = 14.64$	$13 \times 2.2 = 28.6$	$137 \times 2.2 = 301.4$
ცნობისათვის:				
კურსი: 2.1	ყოველდღიური საშუალო კურსი: 2.18			კურსი: 2.2

ან, როცა ოპერაციების (ნაკადების) შესახებ ინფორმაცია ცნობილია:

ცხრილი 7.4. ოპერაციისა და ღირებულების ცვლილებების გაანგარიშება, როცა სახეზეა აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებებიც: შემთხვევა 2

საწყისი ნაშთი	ოპერაცია	ღირებულების ცვლილება	სხვა ცვლილებები	საბოლოო ნაშთი
აშშ \$				
€ 152	€ -28		€ 13	€ 137
ლარში				
$152 \times 2.1 = 319.2$	$-28 \times 2.18 = -61.04$	$301.4 - 319.1 - (-61.04) - 13 \times 2.2 = 14.64$	$13 \times 2.2 = 28.6$	$137 \times 2.2 = 301.4$
ცნობისათვის:				
კურსი: 2.1	ყოველდღიური საშუალო კურსი: 2.18			კურსი: 2.2



შენიშვნა: ამდენად, მიუხედავად აქ განხილული მაგალითებისა, ისინი გათვალისწინებულია იმ შემთხვევებისათვის, თუ ოპერაციის მოხდენის დღის კურსით ვერ ხერხდება მათი გადაანგარიშება ეროვნულ ვალუტაში. უფრო მიზანშეწონილია, და სავარაუდოა, რომ პრაქტიკაში ბანკებს შეუძლიათ უცხოური ვალუტით განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციების გადაანგარიშება ეროვნულ ვალუტაში მოახდინონ ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული კურსით.

7.2.2.1. აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებები

ერთი საანგარიშო პერიოდიდან მეორემდე ოპერაციებისა და ღირებულების (ფასის და გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად) ცვლილებების გარდა აქტივებმა/ვალდებულებებმა შესაძლოა განიცადონ სხვა ცვლილებებიც (OC). ასეთი ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იყოს როგორც ჩვეულებრივ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ პროცესებთან, ისე განსაკუთრებულ, მოულოდნელ შემთხვევებთან (ომი, ბუნებრივი კატასტროფა და სხვა).

აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებებს მიეკუთვნება:

1. ვალდებულებების ჩამოწერა. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მაგალითად, ვალის ჩამოწერა, ცალმხრივი აქტია კრედიტორის მხრიდან და აღირიცხება როგორც აქტივების ღირებულების სხვა ცვლილება (OC), მაშინ როცა, ვალის პატიება როგორც ნებაყოფილობითი აქტი, ორმხრივი ხასიათისაა, როგორც კრედიტორის მოთხოვნის და დებიტორის ვალდებულების გაუქმება და იგი აღირიცხება, როგორც კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაცია კრედიტორის მხრიდან დებიტორის სასარგებლოდ.
2. აქტივების გადაკლასიფიცირება;
3. ოქროს მონეტიზაცია/დემონეტიზაცია;
4. აქტივების ამოწურვა (მაგალითად, ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციიდან ამოღება);
5. აქტივების არაკომპენსირებული მითვისება;
6. დანარჩენი აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებები, სტრუქტურული და სხვა ცვლილებები და სხვ.

აქტივების/ვალდებულებების სხვა ცვლილებების სეგსტატში ასახვის მაგალითი იხ. ჩანართში 7.1.

საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი ანგარიშთა გეგმის მიხედვით, განსაზღვრული ანგარიშები განკუთვნილია ისეთი ცვლილებების აღსარიცხავად, რომლებიც თავისი ბუნებით მიეკუთვნება აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებებს. სეგსტატის მიზნებისათვის ისინი უნდა გადანაწილდეს შესაბამისი აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებების შესასწავლად. ქვემოთ მოტანილი ცხრილი ასახავს ამ ანგარიშების გადანაწილების სქემას:

ცხრილი 7.5. აქტივების ღირებულების სხვა ცვლილებებში ასახვის პოზიციები, რომლებიც საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის მიხედვით ასახულია სხვა ანგარიშებში

საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის მიხედვით		ასახვა სეგსტატში		
ანგარიშის N	დასახელება	ინსტრუმენტის კოდი	ინსტრუმენტის დასახელება	შეფასების ტიპის კოდი
7061, 7071	შემოსავლები ძირითადი საშუალებების გასვლიდან და გადაფასებიდან	F08901-ის შესაბამისი მუხლების მიხედვით	ძირითადი საშუალებები	VC OCVA შესაბამისად
7062, 7072	შემოსავლები სამეურნეო მასალებისა და ინვენტარის გასვლიდან და გადაფასებიდან	F08510	სამეურნეო მასალები	VC OCVA შესაბამისად
7063, 7073	შემოსავლები ძვირფასი ლითონების, ხელოვნების ნაწარმოებებისა და საკოლექციო საგნების გასვლიდან და გადაფასებიდან	F08509	ძვირფასი ლითონები, ხელოვნების ნაწარმოებები და საკოლექციო საგნები	VC OCVA შესაბამისად
7064, 7074	სალაროს ზედმეტობა	F02101	კომერციული ბანკის სალარო	OCVA
7066, 7076	შემოსავლები ბანკის მიერ უსასყიდლოდ მიღებული ფულადი და ძირითადი საშუალებებიდან, მატერიალური და არამატერიალური აქტივებიდან	F02101 F08901 F09200 ან სხვა შესაბამისი ინსტრუმენტები	შესაბამისად, კომერციული ბანკის სალარო, ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები ან სხვა შესაბამისი მუხლები	OCVA

7.2.3. სესტატში ოპერაციის ნაკადების აღრიცხვისას გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

სესხების შემთხვევაში -

7.2.3.1. გაცემულ სესხად ითვლება სესხი, რომელიც გაიცა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და იგი ანგარიშგებაში განიხილება, როგორც ნაკადი.

7.2.3.2. თუ არსებული სესხი დაიფარა ვადაზე ადრე და გაიცა ახალი სესხი, ასეთ შემთხვევაში ეს სესხი განიხილება, როგორც ნაკადი და ჩაირთვება ანგარიშგებაში.

7.2.3.3. თუ ადგილი აქვს ვადაგადაცილებული სესხის რესტრუქტურისა და ანგარიშგებაში ბალანსზე დაბრუნებას, მაშინ ასეთი სესხი განიხილება როგორც ახალი სესხი და ანგარიშგებაში ჩაირთვება როგორც ნაკადი. თუ ადგილი ჰქონდა არსებული სესხის მხოლოდ ნაწილის ვადაგადაცილებას და რესტრუქტურის შედეგად ეს ნაწილი დაუბრუნდა მიმდინარე ნაშთს, მაშინ ახალ სესხად (ნაკადად) ჩაითვლება მხოლოდ ვადაგადაცილებიდან გადმოტანილი ნაწილი.

7.2.3.4. თუ არსებულ სესხს მხოლოდ გაუგრძელდა დაფარვის ვადა, იგი არ განიხილება როგორც ნაკადი. ამასთან, ანგარიშგებაში იგი უნდა აისახოს ნაშთების კატეგორიაში, ახალი ვადის შესაბამისად. თუმცა, ეს სესხი სტანდარტული სესხის კატეგორიიდან უნდა გადაკლასიფიცირდეს რესტრუქტურისგებული სესხის კატეგორიაში და ანგარიშგებაში უნდა აისახოს შესაბამისად. ამასთან, რადგან სესხი გადაკლასიფიცირდა ერთი ვადიანობიდან მეორეში, უნდა მოხდეს შესაბამისი თანხის ასახვა „სხვა ცვლილებებში“ (OC) „მინუს“ ნიშნით (ძველი ვადის შესაბამისად), და „პლუს“ ნიშნით (ახალი ვადის შესაბამისად).

7.2.3.5. როცა სესხი გაიცემა რამდენიმე ეტაპად (მაგალითად, საკრედიტო ხაზის შემთხვევაში) საანგარიშო პერიოდის შიგნით, ასეთი სესხი უნდა აისახოს როგორც ნაკადი და როგორც ერთი სესხი.

ჩანართი 7.1: სესხის გადაკლასიფიცირება

მაგალითად, ვთქვათ 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით BBB ბანკმა ანგარიშგებაში უჩვენა იურიდიულ პირზე გაცემული BV მოცულობის ბიზნეს-სესხის ნაშთი. თუმცა, აპრილის განმავლობაში მან გადაკლასიფიცირა ეს სესხი, როგორც გაცემული ფიზიკურ პირზე მცირე ბიზნესის განვითარებისათვის. შესაბამისი გატარებები, როგორც მარტში, ისე აპრილში, იქნება შემდეგნაირი:

2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით -
FIM.BBB.MM.F04000.AS.ST.T024.GEL.RR.S11200.DA.R01.0311101.LC5.D2.015.50.BV:20170331

2017 წლის 30 აპრილის მდგომარეობით -

1. FIM.BBB.MM.F04000.AS.ST.T024.GEL.RR.S11200.DA.R01.0311101.LC5.D2.015.50.OC:20170430 („-“)
2. FIM.BBB.MM.F04000.AS.ST.T024.GEL.RR.S14100.XX.R01.0411101.LC5.D2.015.50.BV:20170430
3. FIM.BBB.MM.F04000.AS.ST.T024.GEL.RR.S14100.XX.R01.0411101.LC5.D2.015.50.OC:20170430 („+“)

დეპოზიტების შემთხვევაში -

- ☛ დეპოზიტი, რომელიც ბანკში განთავსდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განიხილება როგორც ნაკადი და ანგარიშგებაში აისახება შესაბამისად.
- ☛ თუ საანგარიშო პერიოდში მოხდა დეპოზიტის ვადის გაგრძელება, მაშინ იგი განიხილება როგორც ახალი დეპოზიტი და ანგარიშგებაში აისახება როგორც ნაკადი, შესაბამისი პირობებით.
- ☛ თუ დეპოზიტის ვადის გასვლამდე მოხდა შეთანხმებული პირობების შეცვლა, მაშინ იგი განიხილება როგორც ახალი დეპოზიტი და ანგარიშგებაში აისახება როგორც ნაკადი.

7.2.4. სებსტატში, FIM ოჯახის მონაცემების ფორმირებისას, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უმეტესი ნაწილი ექვემდებარება **ორიგინალური ვალუტით** აღრიცხვას⁷. შესაბამისად, ღირებულების ცვლილების წარდგენისას მასში მოხვდება მხოლოდ ფასის ცვლილებით გამონეული ცვლილებები. აქტივებისა და ვალდებულებების ის კატეგორიები, რომლებიც ექვემდებარება **ღირებულების ცვლილების** ასახვას, მოცემულია ქვემოთ (MFSCG §5.19):

ცხრილი 7.6. ღირებულების ცვლილების ასახვა აქტივების/ვალდებულებების კატეგორიების მიხედვით

აქტივები/ვალდებულებები	ფასების ცვლილება	გაცვლითი კურსის ცვლილება
მონეტარული ოქრო (ცენტრალური ბანკის აქტივი)	✓	✓
სესხის სპეციალური უფლებები (ცენტრალური ბანკის აქტივი)		✓
ეროვნული ვალუტა		
უცხოური ვალუტა		✓
დეპოზიტები - უცხოური ვალუტით		მონაცემთა წარდგენა ხდება ორიგინალური ვალუტით
ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა		
ეროვნული ვალუტით	✓	
უცხოური ვალუტით	✓	მონაცემთა წარდგენა ხდება ორიგინალური ვალუტით
სესხები		მონაცემთა წარდგენა ხდება ორიგინალური ვალუტით
აქციები და სხვა კაპიტალი (აქტივები)		
ეროვნული ვალუტით	✓	
უცხოური ვალუტით	✓	✓
აქციები და სხვა კაპიტალი (ვალდებულებები)	✓ (მხოლოდ ფინანსურ სტატიკაში)	
დამღვევა, საპენსიო და სტანდარტიზებული საგარანტიო სქემები (აქტივები) - უცხოური ვალუტით		მონაცემთა წარდგენა ხდება ორიგინალური ვალუტით
დამღვევა, საპენსიო და სტანდარტიზებული საგარანტიო სქემები (ვალდებულებები)	✓	მონაცემთა წარდგენა ხდება ორიგინალური ვალუტით
ფინანსური წარმოებულები და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე		
ეროვნული ვალუტით	✓	
უცხოური ვალუტით	✓	მონაცემთა წარდგენა ხდება ორიგინალური ვალუტით
სხვა მისაღები/გადასახდელი ანგარიშები		მონაცემთა წარდგენა განსაზღვრული პოზიციების მიხედვით (იხ. სებ-ის მოთხოვნები) ხდება ორიგინალური ვალუტით
არაფინანსური აქტივები	✓	

7 სებსტატის სახელმძღვანელოს პირველი გამოცემის მიხედვით ორიგინალური ვალუტით აღრიცხვას ექვემდებარებოდა მხოლოდ სესხები და დეპოზიტები.

7.2.5. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება ხდება საბალანსო ღირებულებით ან საბაზრო/მიმდინარე ღირებულებით (MFSCG §2.51):

ცხრილი 7.7. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების მეთოდები

აქტივები/ვალდებულებები	შეფასების მეთოდები
მონეტარული ოქრო (ცენტრალური ბანკი)	საბაზრო ღირებულება
სესხის სპეციალური უფლებები (ცენტრალური ბანკი)	საბაზრო ღირებულება
ნაღდი ფული	საბალანსო ღირებულება
დეპოზიტები	საბალანსო ღირებულება
ფასიანი ქაღალდები აქციების გარდა	საბაზრო ან მიმდინარე ღირებულება
სესხები	საბალანსო ღირებულება
აქციები და სხვა კაპიტალი	საბაზრო ან მიმდინარე ღირებულება
დამღვევა, საპენსიო და სტანდარტიზებული საგარანტიო სქემები	საბაზრო ან მიმდინარე ღირებულება ¹
ფინანსური წარმოებულები და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე	საბაზრო ან მიმდინარე ღირებულება
სხვა მისაღები/გადასახდელი ანგარიშები	საბალანსო ღირებულება

¹ გარდა სადამღვევო პრემიების წინასწარი გადახდისა და გადაუხდელი მოთხოვნების რეზერვებისა, რომლებიც აღირიცხება საბალანსო ღირებულებით.

7.3. ინსტრუმენტების აღრიცხვის ერთეული

7.3.1. მონაცემთა ღირებულებით აღრიცხვასთან დაკავშირებით სებსტატში გათვალისწინებულია შემდეგი მოთხოვნები:


ცხრილი 7.8. შეფასების კლასიფიკატორის გამოყენების პირობები⁸

N	ოჯახი/ინსტრუმენტი	აღრიცხვის ერთეული	კონვერტირების წესი	შეფასების კლასიფიკატორის (CL_MType) მოთხოვნები
1	FIM ოჯახი			
	სესხები	ორიგინალური ვალუტით	–	BV, OC, QV
	დეპოზიტები ⁹	ორიგინალური ვალუტით	–	BV, OC, QV
	დანარჩენი ინსტრუმენტები (რომლებიც არ აღირიცხება ორიგინალური ვალუტით; იხ. ცხრილი 7.5)	ეროვნული ვალუტით	თვის ბოლოსათვის მოქმედი სებ-ის მიერ დადგენილი კურსით	BV/MV, VC, OC
2	FID ოჯახი			
	სესხები – აქტივები	ორიგინალური ვალუტით	–	BV
	სესხები – ვალდებულებები	ეროვნული ვალუტით	საანგარიშო დღისთვის მოქმედი სებ-ის მიერ დადგენილი კურსით	
	დეპოზიტები: F02202–დან F02205–ის ჩათვლით	ორიგინალური ვალუტით	–	BV
	დეპოზიტები: F02201, F02206–დან F02211–ის ჩათვლით	ეროვნული ვალუტით	საანგარიშო დღისთვის მოქმედი სებ-ის მიერ დადგენილი კურსით	
	დანარჩენი ინსტრუმენტები	ეროვნული ვალუტით	საანგარიშო დღისთვის მოქმედი სებ-ის მიერ დადგენილი კურსით	BV
3	FEX ოჯახი	ორიგინალური ვალუტით	–	BV
4	MTR ოჯახი	ორიგინალური ვალუტით	–	BV, QV

7.3.3. ყველა მაჩვენებლის წარდგენა ხდება ერთეულებში (არა ათასებში, მილიონებში და ა.შ.).

7.3.4. ამოღებულია.

- 8 ეს პირობები გამოიყენება აქტივების/ვალდებულებების ნაშთების მიმართ. ოპერაციების კონვერტირებისას რეკომენდებულია ოპერაციის მოხდენის დღის გაცვლითი კურსის, ან თუ ეს შეუძლებელია, საანგარიშო თვის საშუალოდღიური კურსის გამოყენება.
- 9 გარდა FID მონაცემთა ოჯახის F02201, F02206-F02211 ჯგუფების დეპოზიტებისა, რომლებიც უნდა აღირიცხოს ეროვნული ვალუტით.



დანართები

დანართი 1: გაცემული სესხების მაიდენტიფიცირებადი გასაღებების კონტროლის სქემა

თუ:		მაშინ:	
CL_Sec	S 11000 სექტორის ქვესექტორები	CL_Nac	საქმიანობის სახე შესაძლებელია იყოს ნებისმიერი, გარდა: J0, L0 და Q0-სა
		CL_Lop	ნებისმიერი, გარდა L01 და L07 ჯგუფის სესხებისა
		CL_Loc	ნებისმიერი
		CL_Rng	ნებისმიერი
		CL_Ir	ნებისმიერი
		C_MType	BV, OC, QV
CL_Sec	S 12000 სექტორის ქვესექტორები	CL_Nac	J0
		CL_Lop	ნებისმიერი, გარდა L01 ჯგუფის სესხებისა
		CL_Loc	ნებისმიერი
		CL_Rng	ნებისმიერი
		CL_Ir	ნებისმიერი
		C_MType	BV, OC, QV
CL_Sec	S 13000 სექტორის ქვესექტორები	CL_Nac	L0
		CL_Lop	ნებისმიერი, გარდა L01 და L07 ჯგუფის სესხებისა
		CL_Loc	ნებისმიერი
		CL_Rng	XX
		CL_Ir	ნებისმიერი
		C_MType	BV, OC
CL_Sec	S 14100 ქვესექტორი	CL_Nac	XX
		CL_Lop	ნებისმიერი, გარდა L07 ჯგუფის სესხებისა
		CL_Loc	ნებისმიერი
		CL_Rng	ნებისმიერი
		CL_Ir	ნებისმიერი
		C_MType	BV, OC, QV
CL_Sec	S 14200 ქვესექტორი	CL_Nac	XX
		CL_Lop	ნებისმიერი, გარდა L07 ჯგუფის სესხებისა
		CL_Loc	ნებისმიერი
		CL_Rng	ნებისმიერი
		CL_Ir	ნებისმიერი
		C_MType	BV, OC, QV
CL_Sec	S 15000 სექტორი	CL_Nac	XX
		CL_Lop	ნებისმიერი, გარდა L01 და L07 ჯგუფის სესხებისა
		CL_Loc	ნებისმიერი
		CL_Rng	ნებისმიერი
		CL_Ir	ნებისმიერი
		C_MType	BV, OC, QV

დანართი 2: სებისტაში გამოყენებული კლასიფიკატორები

1. CL_FAMILY - გასაღებების ოჯახი

კოდი	დასახელება
FIM	ყოველთვიური ფინანსური მაჩვენებლები
FID	ყოველდღიური ფინანსური მაჩვენებლები
FEX	უცხოური ვალუტის ოპერაციები
MTR	ფულადი გზავნილები
PCS	საგადახდო ბარათებს სტატისტიკა
BTR	საბანკო გადარიცხვების სტატისტიკა
CSH	საკასო სტატისტიკა

2. CL_SOURCE - ფინანსური ინსტიტუტები

კოდი	დასახელება
BNB	საქართველოს ეროვნული ბანკი
BZZ	კომერციული ბანკები, სულ
BAZ	აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი
BBS	ბაზისბანკი
BCR	ბანკი ქართუ
BBT	სილქ როუდ ბანკი
BVT	ვითიბი ბანკი ჯორჯია
BZB	ზირაათ ბანკი საქართველო
BTB	თიბისი ბანკი
BIS	იმ ბანკი საქართველო
BCD	კრედიტ ბანკი
BKS	ტერაბანკი
BLB	ლიბერთი ბანკი
BPB	პაშა ბანკი საქართველო
BPC	პროკრედიტ ბანკი
BBG	საქართველოს ბანკი
BFN	ფინკა ბანკი საქართველო
BHB	ხალიკ ბანკი საქართველო

3. CL_FREQ - პერიოდის ტიპი

კოდი	დასახელება
DD	დღე
W2	ორკვირეული
MM	თვე
QQ	კვარტალი
YY	წელი

4. CL_Ins - ინსტრუმენტი (ფინანსური/არაფინანსური)

კოდი	დასახელება
F01100	ოქრო
F01101	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ოქრო
F01102	საერთაშორისო სტანდარტების შეუსაბამო ოქრო
F02100	სალარო
F02101	კომერციული ბანკის სალარო
F02102	ფულადი სახსრები ბანკომატებში
F02103	კვანძგარეთა საოპერაციო სალარო
F02104	ბანკნოტები და მონეტები გზაში
F02105	სხვა საგადახდო დოკუმენტები
F02200	დეპოზიტები
F02201	სავალდებულო რეზერვები სებ-ში
F02202	საკორესპონდენტო ანგარიშები
F02203	მიმდინარე ანგარიშები/დეპოზიტები
F02204	მოთხოვნამდე დეპოზიტები
F02205	ვადიანი დეპოზიტები
F02206	დეპოზიტები გარანტიების მიხედვით
F02207	დეპოზიტური ანგარიშები ჩეკის წიგნაკების მიხედვით
F02208	დეპოზიტური ანგარიშები საბანკო ბარათების მიხედვით
F02209	დეპოზიტური ანგარიშები აკრედიტივის მიხედვით
F02210	დეპოზიტური ანგარიშები დანარჩენი საგადასახადო საბუთების მიხედვით

F02211	სხვა დეპოზიტები
F03000	ფასიანი ქაღალდები, აქციების გარდა
F03100	სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები
F03101	სახელმწიფო სავალო დისკონტური ფასიანი ქაღალდები
